ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 8 ივნისი, 2016 №134 (7060) ფასი: 50 თეთრი

## მიხეილ სააკაშვილი კარავში გამაგრდა




გვ.6

7 ივნისიდან
სამკურნალო მცენარეები
ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი




# მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი არ უნდა ამბობდეს, რამდენ კაცს გაიყვანს პარლამენტში“

## „კარგი იქნება, თუ ის მედიას აღარ შეხვდება“



გვ.4

## ბიძინა ივანიშვილი: „დიქტატურას გაფორმებაღა აკლდა და სახელმწიფო დემოკრატიის რელსებზე გადმოვიყვანეთ“



გვ.2

ქვების სროლით მოვიდა წინა ხელისუფლება და ვიცით, როგორ დამთავრდა. ძირითადი პასუხისმგებლობა მთავრობასა და მმართველ გუნდს ეკისრება. ეს უნდა გააცნობიერონ კარგად და მეტი მოთმინება გამოიჩინონ. საერთო ჯამში, ამან ძალიან დააზარალა ჩვენი სახელმწიფო. ერთი პლუსი შეიძლება ჰქონდეს ამას – დასკვნები გააკეთონ და მსგავსი აღარ გაიმეორონ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს პროვოკაცია კარგად დაგეგმილი იყო ნაციონალური მოძრაობის მხრიდან

მსოფლიოში ვერ ნახავთ მსგავსს, რომ ადამიანის უფლებები ამ დონეზე იყოს დაცული. მსგავს მაგალითს ვერ ნახავთ, რომ ასეთ ღარიბ, ასეთი ეკონომიკის მსგავს ქვეყანაში ამ დონეზე იყოს დაცული დემოკრატიული ღირებულებები

## მეგი ცოცირიძე: „ივანიშვილი ქვეყნიდან გაპარვას აპირებს“



გვ.3

„ქოცები ჩვენი პაროდისტები გახდნენ“

## „მეჭიაურის პარტია ბურჯანაძის დასასუსტებლად შეიქმნა“

გვ.5

ვალერი გელბახიანი: „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის გარიგებაა“



## ია ანთაძე: „ახლანდელი რუსთავი 2 ხელისუფლებისთვის ნაკლებად სახიფათოა“

გვ.5

„ივანიშვილისგან 2 მნიშვნელოვან კითხვაზე მივიღე პასუხი“





ISSN 1987-9385

გვ.7

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოს საგარეო კურსი შეიძლება შეიცვალოს“



რატომ ფერხდება ვიზალიბერალიზაცია?

გვ.7

## თორნიკე შარაშენიძე: „სამი კვირაა, სასამართლოში სისულელეებს ვადევნებთ თვალს“

# ბიძინა ივანიშვილი: „დიქტატურას გაფორმებადღა აკლდა და სახელმწიფო დემოკრატიის რელსებზე გადმოვიყვანეთ“



**ნაციონალურ მოძრაობას რესურსი არ გააჩნია, რომ რევოლუციური სურათი დადოს საქართველოში. ნურავის ნუ გეშინიათ! ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს, რომ არჩევნები ჩაატაროს ზომიერად და არ მოხდეს ის მუშტი-კრივი, რაც იყო კორცხელში**

**გუშინ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ტელევიზიის წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც მან აღნიშნა, 14 ივნისს შეხვდება ბეჭდური მედიის წარმომადგენლებს, 21 ივნისისთვის კი ეკონომიკურ ფორუმს დაესწრება. ივანიშვილი ოპოზიციურად განწყობილ ექსპერტებს ფორუმზე დასწრებისა და იდეების გამოთქმისკენ მოუწოდებს. მისი აზრით, მოსაზრება, რომ ხელისუფლება უნიათოა და არაფერს აკეთებს, არასწორია.**

**ბიძინა ივანიშვილი:**

— როგორ არ კეთდება?! სულ სხვა ციფრებია. კეთდება იმაზე მეტი, ვიდრე კეთდებოდა. სწორი დამოკიდებულებით ვვითარდებით. ის დამოკიდებულება, რომ შენარჩუნებულიყო, რაც ჰქონდა წინა ხელისუფლებას ეკონომიკასთან, დღეს პენსიები ვერ დარიგდებოდა და ეკონომიკურ კოლაფსს მივიღებდით. ახლა სწორი მიმართულებით მიდის ქვეყანა. 3-4 წელიწადში ვერ გავაკეთებთ 15-20 წლის გასაკეთებელს.

ყოფილმა პრემიერმა მოქმედი პრემიერი შეაქო და განაცხადა, რომ გიორგი კვირიკაშვილში თავისი ახალგაზრდობის ოცნების ადამიანი ნახა.

— დღეს ქვეყანას საოცნებო პრემიერ-მინისტრი, საოცნებო ლიდერი ჰყავს კვირიკაშვილის სახით. მე სულ არ ვაკნინებ ღარიბაშვილს. ჩვენ დღევანდელზე ვსაუბრობთ. კვირიკაშვილს კარგი გუნდი ჰყავს და მინდა, ეს საზოგადოებამ გააცნობიეროს, — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილს არც ღარიბაშვილის შექება დავიწყებია.

— ირაკლი ღარიბაშვილს კარგი რესურსი აქვს, თუ მიაქციეთ ყურადღება, ყრილობაზე მოვიდა და მქუხარე ტაშით შეხვდნენ, ცოტა შემშურდა კიდეც.

კითხვაზე, არის თუ არა დრო, ღარიბაშვილი დაბრუნდეს პოლიტიკაში, ივანიშვილმა უპასუხა, რომ ეს ღარიბაშვილმა თავად უნდა გადაწყვიტოს:

— კრიზისული არაფერია დღეს „ქართულ ოცნებაში“, განსაკუთრებულიც არაფერი ხდება. მან მისცა საშუალება გუნდს და მე ამას ძალიან ვაფასებ, ის წავიდა თავისი წარმატების ზენიტში და გააგრძელა ის ტრადიცია, რომელიც მე დავამკვიდრე.

ის, რომ დღეს პოლიტიკაში გვყავს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აქვს რესურსი, რომელიც უყვარს საზოგადოებას და რაღაც რომ მოხდეს, მას შეუძლია, კიდევ ახალი ძალა ჩამოაყალიბოს ან ძველს დაუდგეს მხარში, ეს ძალიან დიდი ფუფუნებაა.

* * *

ბიძინა ივანიშვილმა გარემოცვის მიერ მის შესაძლო მოტყუების თემაზე დასმულ შეკითხვას უპასუხა.

— ჩემი მოტყუება არ არის ასე მარტივი. თქვენ რომ გგონიათ და კიდევ ვილაცებს, ეგრე იოლად არ ვტყუვდები, სხვანაირად ვიცხოვრებდი მაშინ. ჩემს გარემოცვას რაც შეეხება, ჯერ არ ცდილობენ და ვერც მომატყუებენ, რომც ეცადონ, — განაცხადა ივანიშვილმა.

კითხვას, მოხვდნენ თუ არა შემთხვევითი წევრები „ქართულ ოცნებაში“ 2012 წლის არჩევნების წინ, საქართველოს ექსპრემიერმა შემდეგნაირად უპასუხა:

— საბედნიეროდ, არ არიან ადამიანები, რომლებმაც ძალიან დიდი იმედგაცრუება მოგვანიჭეს. იმ დროს, ჩემი აზრით, გუნდის შერჩევა იყო ოპტიმალური, თუ საუკეთესო არა. მაშინ იყო ომი და არა — არჩევნები. დღეს ხარისხობრივად კვირიკაშვილი განაახლებს გუნდს. თუმცა, ამ გუნდის ყველა წევრს დიდი პატივისცემით ვექცევი, ანგარიშს ვუწევ მათ პოზიციას და გაგებით ვეკიდები, რომ შეიცვალეს პოზიცია, მათ შორის მეჭიაურმა. ისინი ევოლუციურად ვითარდებიან და არა — რევოლუციურად.

ექსპრემიერი ვარაუდობს, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნების შემდეგ პარლამენტში 95 დეპუტატით შევა.

— ჩემი პროგნოზით, „ქართულ ოცნებას“ კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება არ დასჭირდება. ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ საშუალოდ 95 კაცით შევა პარლამენტში, — აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

ყოფილი პრემიერის თქმით, ხელისუფლებამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ფიზიკური დაპირისპირების გარეშე უნდა ჩაატაროს.

— ნაციონალურ მოძრაობას რესურსი არ გააჩნია, რომ რევოლუციური სურათი დადოს საქართველოში. ნურავის ნუ გეშინიათ! ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს, რომ არჩევნები ჩაატაროს ზომიერად და არ მოხდეს ის მუშტი-კრივი, რაც იყო კორცხელში, — განაცხადა ივანიშვილმა.

მან მომხდარ ფაქტზე პასუხისმგებლობა მთავრობას, მმართველ გუნდს დააკისრა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ინციდენტი ნაციონალური მოძრაობის პროვოცირებული იყო.

— ქვების სროლით მოვიდა წინა ხელისუფლება და ვიცით, როგორ დამთავრდა. ძირითადი პასუხისმგებლობა მთავრობასა და მმართველ გუნდს ეკისრება, ეს უნდა გააცნობიერონ კარგად და მეტი მოთმინება გამოიჩინონ. საერთო ჯამში, ამან ძალიან დააზარალა ჩვენი სახელმწიფო, ერთი პლუსი შეიძლება ჰქონდეს ამას — დასკვნები გააკეთონ და მსგავსი აღარ გამეორდეს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს პროვოკაცია კარგად დაგეგმილი იყო ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

მან აღნიშნა, რომ მის მიერ ნაციონალური მოძრაობის ხშირად ხსენება წინა წლების მმართველობის ამჟამინდელთან შედარების ანალიზისთვის ხდება.

— ნაციონალების ხსენება გვიწევს იმიტომ, რომ მათ ვედრებით ჩვენ, რა ხდებოდა წინა პერიოდში, უნდა შეედარო ანალიზის დროს. სააკაშვილი ახერხებდა და მე-11-12 საუკუნეებს ედრებოდა. წინა წელს უნდა შეადარო მომდევნო წელი.

აქედან, იძულებით, გვინდა თუ არ გვინდა, ვახსენებთ ხშირად. ასევე ხსენება ხდება იმიტომ, რომ ასეთი დარაზმული ოპოზიცია ჩვენ არ გვყავს. მათ მმართველობის დროს მოახერხეს და დიდი ქონება დაიტაცეს, დღესაც ახერხებენ, მართონ მედიასაშუალებები. მათ ბევრი მედია აქვთ, — განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

ბიძინა ივანიშვილი რუსთავი 2-ის თემასაც შეეხო.

— ეგ არის თქვენი ტელევიზია და თქვენი ბეჭედიც აქ მოიტანეთ, არ გჭირდებათ ჩემი კრიტიკა, თქვენვე უპასუხეთ კითხვებს. რითიც იყავით დაკავებული, აგიტაციით, თქვენ და თქვენი მეუღლე, მშვენივრად გადმოიტანეთ, ცდილობთ, აქაც გაავრცელოთ, — მიმართა ივანიშვილმა რუსთავი 2-ის ჟურნალისტ ეკა კვესიტაძეს.

კითხვას, უნდა დარჩეს თუ არა რუსთავი 2 ამ ფორმით არჩევნებამდე, ივანიშვილმა დადებითი პასუხი გასცა.

მისი თქმით, სასამართლო თავისუფალია და რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას დარბაზიდან მისი მხრიდან გაკეთებული უზრდელური გამონათქვამების გამო აძევებენ.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლების დროს სასამართლო მთლიანად ხელისუფლების ძალაუფლების ქვეშ იყო.

მან გამორიცხა რუსთავი 2-ის საქმეებში დღევანდელი ხელისუფლების ჩარევა.

— ჩვენი წარმატებული ნაბიჯი იყო ის, რომ სასამართლოს მივეცით თვითგადარჩენის, აღდგენისა და განვითარების საშუალება. ხელისუფლება არ ჩაერევა სასამართლოს უფლებებში, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

მან გაიხსენა, რომ ნიკა გვარამია იყო პროკურორის მოადგილე, როდესაც „იმედის“ ჟურნალისტები იატაკზე გართხმულები იყვნენ და რიდესაც ტელევიზია წაიღეს.

— დღეს გამოდის გვარამია და თავისუფალი მედიის სიმბოლოდ ქცეულ რუსთავი 2-ს იცავს. ყარამანაშვილები ვერც კი ბედავენ გამოსვლას. სააკაშვილის ტელევიზიას დღეს გვარამია იცავს, როგორ მოგწონთ?! როგორ უნდა დამთავრდეს სასამართლო პროცესი, მე ამას სასამართლოს ვერ მივუთითებ. მე არ მყოფნის სითავხედე, თქვენგან განსხვავებით, სასამართლოს მივანიშნო, როდის რა უნდა დაამთავროს, — უთხრა ბიძინა ივანიშვილმა რუსთავი 2-ის ჟურნალისტს.

მან აღნიშნა, რომ მისთვის და პოლიტიკური პროცესისთვის, ქვეყნისთვის ახლა მენეჯმენტის შეცვლა რუსთავი 2-ში მიუღებელი და არასასურველია.

მან ქიბარ ხალვაშსა და დავით დვალს მიმართა, რომ თუ რუსთავი 2-ის საქმე არჩევნებამდე მათ სასარგებლოდ დამთავრდა, ნიკა გვარამია დატოვონ თანამდებობაზე.

— გარანტად დავუდგებოდი, თუ ფინანსურად რაიმე ზარალს ნახავდნენ, დავეხმარებოდი, ქიბარ ხალვაში იქნებოდა ეს თუ დავით დვალი (ან ორივე ერთად) და ვთხოვდი, რომ თუ სასამართლო არჩევნებამდე მათ სასარგებლოდ დასრულდა, არ შეეხონ გვარამიასა და მენეჯმენტს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი აზრით, რუსთავი 2 დღეს ყველაზე კარგი ინსტრუმენტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში მაქსიმალური შედეგი მიიღოს.

ივანიშვილს არ სურს, საზოგადოებას ჰქონდეს იმის განცდა, რომ ის ჟურნალისტებთან დაპირისპირებულია.

— მე ვერ ვიზიარებ იმ აზრს, რომ ჟურნალისტების მიჭირხვნით ვარ დაკავებული. ძალიან მიყვარს ჭეშმარიტების ძიება და ამით, ალბათ, არ განვსხვავდები სხვა ადამიანებისგან და სულაც არ მსიამოვნებს, თუ ჟურნალისტი გავანაწყენე, მაგრამ მგონია, რომ ეს ნორმალურია, მე არ მგონია, რომ ეს ზღვარგადასულია, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მან ჟურნალისტიკაში თავისი შესაძლებლობების მოსინჯვაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ჰქონდა მცდელობა, პოლიტიკიდან წასულს როგორ გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობა და დახმარებოდა საზოგადოებას.

— მალევე მათქმევინეს ამაზე უარი, ისეთი იყო რეაქცია, ჩემი ჟურნალისტობა არავის მოუნდა. მე ვფიქრობ, რომ კარგი პროფესიაა, ძალიან მომწონს, მე მშურს თქვენი, — განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ სექტემბერში აპირებს, გააკეთოს იმის მსგავსი გადაცემების სერია, რომელიც ჰქონდა 2030-ზე.

* * *

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, იმ ეკონომიკის მსგავს ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დემოკრატიული ღირებულებების დაცვა საკმაოდ მაღალ დონეზეა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

— მსოფლიოში ვერ ნახავთ მსგავსს, რომ ადამიანის უფლებები ამ დონეზე იყოს დაცული. მსგავს მაგალითს ვერ ნახავთ, რომ ასეთ ღარიბ, ასეთი ეკონომიკის მსგავს ქვეყანაში ამ დონეზე იყოს დაცული დემოკრატიული ღირებულებები, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

მისი თქმით, ვისაც არ მოეწყინება, ნებისმიერ ბრუნვაში აკრიტიკებს და ლანძღავს მთავრობას და ასე შეიძლება, ქვეყანა მოჯადოებულ წრეზე დაბრუნდეს.

— გაჭირვებული კაცი მიდის საღამოს სახლში — ვთქვათ, მაცივარი ნახევრად ცარიელია, სამუშაო აქვს ისეთი, რომ ძალიან მწირი შემოსავალი აქვს და ამ დროს მას დემოკრატიულ ღირებულებებზე ესაუბრები, ძალიან ძნელია, მესმის. ძნელი მისაღებია, რომ რაღაც უფლებებზე ესაუბრო, როცა ელემენტარული უფლება არ გააჩნია, ოჯახი ღირსეულად არჩინოს, მაგრამ, ეს რომ კვირიკაშვილს ან მთავრობას მივაწეროთ და დავაბრალოთ, დავუწყოთ ჭიდაობა, არ იქნება მართალი.

ვისაც არ მოეწყინება, აკრიტიკებს ისედაც მთავრობას და მთავრობის ბევრი წევრი ხათრით არის იქ შერჩენილი და მხოლოდ იმ ენთუზიაზმით, რომ საკუთარ ქვეყანას დაეხმაროს. ასე შეიძლება მივანგრიოთ ეს ყველაფერი და მოჯადოებულ წრეზე დავბრუნდეთ, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი შეფასებით, 4 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ საოცრე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაბაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი (?)
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მეგი გოცირიძე: „ივანიშვილი ქვეყნიდან გაპარვას აპირებს“

## „ქოცები ჩვენი პაროდისტები გახდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

**ვინ ვერ გადალახავს საარჩევნო ბარიერს, რისთვის ამზადებს ივანიშვილი მოსახლეობას, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას ჯარისა და პოლიციის იმედი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი, ნაციონალი მეგი გოცირიძე ესაუბრება.**

***– ჟურნალისტებთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ნაციონალებს საარჩევნო ბარიერის გადალახვაც კი გაუჭირდება. მართლა ასე ცუდად არის თქვენი პარტიის საქმე?***

– ცუდად ოლიგარქის პარტიის საქმეა და იმიტომ აკეთებს არაადეკვატურ განცხადებებს. გასაგებია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩატარებულ კვლევებს არ ენდობიან, მაგრამ აბა ერთი გავიდეს ქუჩაში და იკითხოს, ვინ უჭერს მაგის პარტიას ხმას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საარჩევნო ბარიერის გადალახვა „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება. არა, კი არ გაუჭირდება, საერთოდ ვერ გადალახავს.

***– ივანიშვილისა არ იყოს, რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული, რომ „ოცნება“ ბარიერს ვერ გადალახავს?***

– ივანიშვილი სხვა რამეშია დარწმუნებული და ამიტომ აკეთებს ასეთ განცხადებებს, მე კი ხალხის განწყობიდან გამომდინარე ვაკეთებ პროგნოზს. ალარაფერს ვამბობ შუალედური არჩევნების შედეგებზე, რომელიც 22 მაისს გაიმართა. ამ არჩევნებზე ნაციონალებს მხოლოდ 4 ოლქში გვყავდა კანდიდატი წარდგენილი და აქედან 2 მოვიგეთ. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს და, რამდენადაც მე ვიცი, „ოცნებაში“ რაღაც დასკვნები გააკეთეს. მათ კარგად იციან, რომ ჩვენი დაბრუნება გარდაუვალია და ამას აღარც მალავენ.

***– სად გაამხილეს? ამის თქმის საბაბს ივანიშვილის სხვა განცხადება ხომ არ გაძლევთ, სადაც ის ამბობს, რომ ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების მცირე ალბათობა არსებობს.***

– ეს მცირე ალბათობა არაა, ეს გარდაუვალია. ხელისუფლებას ძალიან ეშინია და ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ზონდერების გამოყენება დაიწყეს. ერთ პატარა სოფელ კორცხელში ასეთი საშინელება ჩაიდინეს და წარმოდგენაც კი არ მინდა, რას იზამენ, ქვეყნის მასშტაბით რომ ჩატარდება არჩევნები.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სწორად აფასებენ მათ შესაძლებლობებს და ამიტომაც დასაშვები თუ დაუშვებელი მეთოდებით ცდილობენ მიზნის მიღწევას. ჩვენთვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ამ არჩევნებზე ძალიან დიდი ოდენობით დაიხარჯება რუსული ფული, მოსახლეობის მოსყიდვის მცდელობასაც ექნება ადგილი, მაგრამ ეს აღარ იქნება ეფექტური. მოსახლეობა ამბობს, რომ აიღებენ ფულს, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ხმას არ მისცემენ.

ისინი ადმინისტრაციული რესურსის, პოლიციისა და ჯარის გამოყენებასაც აპირებენ, მაგრამ არც აქ გამოუვათ რამე. 100%-იანი დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ ჯარი ამ გუნდს ხმას არ მისცემს.

***– რატომ არ მისცემენ ხმას, რადგან რესპუბლიკელი მინისტრი ჰყავთ?***

– რესპუბლიკელი მინისტრი რა შუაშია. ხომ არ გავიწყდებათ, რომ საქართველო გიორგი ანწუხელიძის სამშობლოა. როგორ გგონიათ, ამ ბიჭის თანამებრძოლები პრორუსულ ძალას დაუჭერენ მხარს? სამხედროების მხარდაჭერაზე არც კი იოცნებონ.

***– რატომ ამტკიცებთ, პრორუსული ძალააო, როცა „ოცნების“ ოფიციალური კურსი პროდასავლურია?***

– რით გამოიხატება დასავლეთისკენ სვლა? თქმით ბევრი რამის თქმა შეიძლება. აგერ ივანიშვილმა გვითხრა, 170 საწარმო გავხსენითო, მაგრამ ასეთი რამე ბუნებაში არ არის. ასეთივე არარეალურია მათი პროდასავლურობაც, ამიტომაც ჯარისგან ხმებს ვერ ელირსებიან. თან ამას ვარაუდების დონეზე არ გეუბნებით, მყარი არგუმენტი მაქვს. რამდენიმე თვის წინ გარდაბანში გამგებლის არჩევნები ჩატარდა. იქ იყო სპეცუბანი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წააგო. პოლიციას რაც შეეხება, მისი მხარდაჭერაც გამორიცხულია.

***– პოლიცია რატომ არ დაუჭერს მხარს?***

– იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებამ სამართალდამცავებს კრიმინალები დაასვა თავზე. ასეთ რამეს პოლიცია არავის პატიობს. თქვენი აზრით, დაავიწყდათ პოლიციელებს, ქოცების მოსვლის შემდეგ რამდენი მათი თანამებრძოლი დაიღუპა ამნისტირებული კრიმინალების ხელით?!

***– პოლიციელები კრიმინალებთან ბრძოლაში სხვა ქვეყნებშიც იღუპებიან და ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების ბრალია.***

– იქ კრიმინალებთან ბრძოლაში იღუპებიან, ჩვენს პოლიციას კი კრიმინალებისთვის პასუხის გაცემის უფლებაც არ აქვს. ან ვინ უნდა გასცეს პასუხი? მოვიდნენ თუ არა, შსს-დან პროფესიონალები გაყარეს და იქაურობა თავიანთი აქტივისტებით გაავსეს. ხშირად იწონებენ თავს, ჩვენ დროს გახდა პოლიცია აპოლიტიკურიო. დღეს პოლიცია აპოლიტიკური კი არ არის, არამედ გაქოცებულია. ამას პოლიციელები ხელისუფლებას არ აპატიებენ.

არც იმას აპატიებენ, შანტაჟის ენით რომ დაუწყეს ლაპარაკი და ზონდერებს შსს-თან აქციის გამართვის უფლება მისცეს. კახა კალაძე მისი დის ქმრის ენით ემუქრებოდა პოლიციას. ძალიან უხერხული სანახავია, როცა ჯაჭვიანი ტიპი შსს-ს ულტიმატუმს უყენებს.



***– რა ჯაჭვზე საუბრობთ?***

– 50-გრამიან ოქროს გრეხილ ჯაჭვზე. ასეთი ტიპები გამოიყვანონ კიდევ და ვნახავ, რა ხმებსაც მიიღებენ. არც ის დაგავიწყდეთ, რომ შსს-ში დღემდე უყვართ ვანო მერაბიშვილი, რომელიც ამ ხელისუფლებამ ციხეში გამოკეტა.

ახლა რაც შეეხება ადმინისტრაციულ რესურსს, ნურც ამ მიმართულებით ექნებათ ილუზიები. არ დაავიწყდეთ, რომ ამ ადმინისტრაციულ რესურსში კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი სხვა პარტიების წარმომადგენლებიც იგულისხმებიან. როცა სამსახურებში ხალხს უშვებდნენ, ერთად იყვნენ და ყველა თავის აქტივისტს ასაქმებდა. ახლა ყველა ცალ-ცალკე წავიდა და ყველა თავის პარტიას მისცემს ხმას.

ასე რომ, ქოცებისთვის ვითარება მეტად სავალალოა და ჩემი რჩევა იქნება, ნუღარ მოამზადებენ ზონდერებს. არჩევნებზე მათ აღარაფერი უშველით. ამ ზონდერებმა არც კორცხელში უშველათ, არჩევნები მაინც ჩვენ მოვიგეთ, სამაგიეროდ, ქვეყანა დარჩა წაგებული.

***– ზონდერებს თქვენც ხომ იყენებდით არჩევნებზე და არა მარტო არჩევნებზე.***

– ჯანიანი ხალხი მას შემდეგ შემოვიკრიბეთ, რაც 2003 წელს შევარდნაძემ თავისი ზონდერები მოგვისია. პირადად მე ბოლნისში დიდი ქვა მომხვდა თავში. არ უარვყოფ, რომ ჩვენც გვყავს ჯანიანი ხალხი, მაგრამ სად ესენი და სად ქოცების ზონდერები. ეგ უბედურები ხომ ნაციონალების პაროდისტები არიან. ძალიან უნდათ, ჩვენი მეთოდები გადაიღონ, მაგრამ მხოლოდ პაროდია გამოსდით. ასე იყო კორცხელშიც. რომლის გაპრავებასაც ახლა ყველანაირად ცდილობენ.

***– ივანიშვილმა თქვა, რომ ამ ინციდენტს ემიჯნება და მასზე პასუხისმგებლობას მმართველ გუნდს აკისრებს.***

– რა თქმა უნდა, გაემიჯნებოდა. საკუთარ სიტყვებს უარყოფს კაცი და ამ საშინელებას აიღებდა თავზე? თუ დასჭირდა, მთელ გუნდს გაემიჯნება. ახლა ძალიან ცუდი პერიოდი აქვს და არ უნდა, ევროპაში პრობლემები შეექმნას.

***– რას გულისხმობთ ცუდ პერიოდში?***

– მას არჩევნების მოგების შანსი არ აქვს. ისიც იცის, რომ გაყალბების შემთხვევაში მეორე დღესვე მიიღებს ვარდების რევოლუცია 2-ს. ხალხის დარბევა თუ გაბედა, ვერსად გაიქცევა. გასაქცევი არსად აქვს.

***– რატომ არა აქვს, სულ იმას არ იძახით, პუტინის კაციაო? ვერ შეიფარებენ რუსეთში?***

– ახლაც გიდასტურებთ, რომ პუტინის კაცია. რუსეთში იმიტომ ვერ ჩავა, რომ უამრავი ადამიანი ჰყავს იქ გადაგდებული. ისევ ევროპაში აპირებს გაქცევას. ამიტომ ძალადობას ემიჯნება და ნელ-ნელა იპარება.

***– სად იპარება და რით გამოიხატება მისი გაპარვა?***

– მედიასთან ბოლო შეხვედრაზე თქვა, 50% თუ არ ავიღეთ, ჩავთვლი, რომ ხალხი აღარ მენდობა და ბიზნესში წავალო. ეს განცხადება იმიტომ გააკეთა, რომ იცის, 50%-ს ვერ აიღებს და წასვლის საბაბიც ექნება. მას შეუძლია, ახლავე ჩაალაგოს ბარგი.

# ბიძინა ივანიშვილი: „დიქტატურას გაფორმებაღა აკლდა და სახელმწიფო დემოკრატიის რელსებზე გადმოვიყვანეთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბები შეძლო, რითაც გაჩნდა პერსპექტივა, რომ საქართველო დემოკრატიული ღირებულებისა




და ეკონომიკის თვალსაზრისით უახლოეს პერიოდში განვითარებული ქვეყნების მსგავსი გახდება.

– კატასტროფისკენ მივდიოდით და საოცრება მოვახდინეთ მმართველობის 4 წლის განმავლობაში. წარმატებულად გავართვით თავი ძალიან ბევრ პრობლემას. ქვეყანა შემოვაბრუნეთ, დიქტატურას გაფორმებაღა აკლდა და სახელმწიფო დემოკრატიის რელსებზე გადმოვიყვანეთ. რეალური პერსპექტივა გაჩნდა, რომ უახლოეს წლებში გავხდეთ განვითარებული ქვეყნების მსგავსი სახელმწიფო როგორც ეკონომიკურად, ისე დემოკრატიული ღირებულებების თვალსაზრისით, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

ყოფილი პრემიერი ფიქრობს, რომ საზოგადოებას მისი სჯერა, რაც არჩევნებზე გამოჩნდება.

– მგონია, მაქვს განსაკუთრებული როლი, რადგან ვგრძნობ, რომ საზოგადოებას აქვს ჩემი ნდობა. შეიძლება, ეს მცდარია და ამას დავინახავთ.

მაქვს ვალდებულების განცდა, რომ დავეხმარო, არჩევანი კი საზოგადოებაზეა, რამდენად მიიღებენ მას.

ვალდებულების განცდა მაქვს, რომ ჩემი სჯერა საზოგადოებას და მე არ უნდა ვუღალატო მათ.

მე უნდა გავაკეთო ყველაფერი, დავეხმარო და ვაჩვენო ჩემებურად, არგუმენტირებულად, როგორ ვხედავ მოვლენებს. თუ ვნახე არჩევნებზე, რომ ჩემი აღარ სჯერათ, როგორც ვნახავ, რომ ნახევარზე ნაკლებზე წამოვიდა პოზიცია და აღარ დაუჭირა საზოგადოებამ მხარი, დაგემშვიდობებით და დავბრუნდები იქ, სადაც ვიყავი, – დასძინა ბიძინა ივანიშვილმა.

# ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით მაგდა პაპიძის საქმის განხილვა 10 ივნისს დაიწყება

მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებული მაგდა პაპიძის მიმართ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 10 ივნისს, 11:00 საათზე გაიმართება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს.

სასამართლოს ინფორმაციით, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე გამოცხადებულ კანდიდატთაგან შეირჩა 15 ნაფიცი მსაჯული, გუშინდელ სხდომაზე კი განისაზღვრა 12 ძირითადი და 3 სათადარიგო ნაფიცი მსაჯული, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ მართლმსაჯულებას.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა კონფიდენციალურია. მათი უსაფრთხოების მიზნით სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებსა და პროცესის მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯულთა ვინაობის გამხელა. სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდი-



ოჩაწერა და ეთერში გადაცემა უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნებისა და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

წარდგენილი ბრალის თანახმად, მაგდა პაპიძეს ბრალად წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და დამამძიმებელ გარემოებებში ორი პირის განზრახ მკვლელობა ედება.

**ინტერპრესნიუსი**

# გორის ადმინისტრაციულ შენობაში წვიმის შედეგად ჭერი ჩამოინგრა

გორის მოსახლეობის გარდა, უხვი ნალექის გამო ადგილობრივი ხელისუფლებაც დაზარალდა. ძლიერი წვიმის შედეგად ადმინისტრაციული შენობის სახურავიდან ჩასულმა წყალმა ჯერ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და საკრებულოს რამდენიმე წევრის ოთახები დატბორა, შემდეგ კი ჭერიც ჩამოინგრა. აღნიშნულ კაბინეტებში მუშაობა რეაბილიტაციის ჩატარებამდე შეუძლებელი იქნება.



ხანგრძლივი წვიმის გამო სამაშველო და კეთილმოწყობის სამსახურები მთელი დღის განმავლობაში საგანგებო რეჟიმში მუშაობენ. ქალაქის მერ ზურაბ ჯირკველიშვილის თქმით, ნალექი მართლაც საკმაოდ უხვი იყო, რამაც გარკვეული პრობლემები გამოიწვია.

– 60 წლის კაცი ვარ და ასეთი ინტენსიური წვიმა და უხვი ნალექი გორში არ მახსოვს. სწორედ წყლის ამგვარმა სიჭარბემ გამოიწვია პრობლემები. ამ დრომდე დახმარების თხოვნით 40 სატელეფონო ზარი შემოვიდა. მოსახლეობა ძირითადად საცხოვრებელი სახლების სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვას ითხოვს. გარდა ამისა, რთული მდგომარეობა შეიქმნა მიწისქვეშა გადასასვლელშიც. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრისგან წინასწარ გვქონდა ინფორმაცია უხვ ნალექზე და მობილიზებულები ვიყავით. ზარალის ოდენობა უცნობია. ამ დროისთვის ვითარება სტაბილურია და მიმდინარეობს შესაბამისი სალიკვიდაციო სამუშაოები, – განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ზურაბ ჯირკველიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი არ უნდა ამბობდეს, რამდენ კაცს გაიყვანს პარლამენტში“

## „კარგი იქნება, თუ ის მედიას აღარ შეხვდება“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ აღარ უნდა გამოჩნდეს ივანიშვილი მედიასთან, აწყენს თუ არა მას გარემოცვა, რა არჩევანი უნდა გააკეთოს მან, სად გაუშვებენ არჩილ ხაბაძეს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" პარლამენტის ვიცესპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.**



***– თქვენ კარგა ხანია ითხოვთ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ხაბაძის გადადგომას. მისი მისამართით 7 ივნისს მცირედი პრეტენზიები გამოთქვა ბიძინა ივანიშვილმაც. თქვენი აზრით, გახდება თუ არა ეს მისი გადადგომის მიზეზი?***

– ივანიშვილი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ აჭარის მთავრობის მეთაური უკეთესი შეიძლება ყოფილიყო. წესით, მას ხაბაძეზე ასეთი შეფასება უნდა გაეკეთებინა. ამაზე უარესი მთავრობის მეთაური აჭარის რეგიონს არ ჰყოლია. ადამიანი, რომელსაც პირველი პირის პოსტი უკავია, უნდა იყოს პოლიტიკური ფიგურა. არჩილ ხაბაძე არის მარტო სახელი და გვარი. აშკარაა, რომ მისი საქმიანობა აღარც ივანიშვილს მოსწონს და დიდი შანსია, რომ ხაბაძეს თანამდებობის დატოვება მოუწევს.

***– თანამდებობიდან თუ წავა, მას საარჩევნო სიაში ხომ არ ჩასვამენ ან მაჟორიტარად ხომ არ იყრის სადმე კენჭს?***

– არა მგონია, რომ ის სიაში მოხვდეს. სავარაუდოდ, არც მაჟორიტარად იყრის კენჭს. მე კარგად ვიცი, რას ფიქრობს კვირიკაშვილი ხაბაძეზე. ივანიშვილი პრემიერის აზრს, ალბათ, გაიზიარებს. კვირიკაშვილს არასდროს მოსწონდა ხაბაძე. მან ადრეც უთხრა ივანიშვილს, რომ ხაბაძე ვერ შეძლებდა პირველ პირობას.

***– კვირიკაშვილი ვახსენეთ და ბიძინა ივანიშვილმა ის ძალიან შეაქო. ადრე ასეთი თავგამოდებით აქებდა გიორგი მარგველაშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს. თქვენი აზრით, რა ხდება?***

– სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა პიროვნების ქება ივანიშვილისთვის დამახასიათებელია. კვირიკაშვილის მიმართ მეც დადებითად ვარ განწყობილი და თავიდანვე ვამჩნევდი, რომ ის დალევინებული კაცია. თავის წინამორბედს რომ ბევრად სჯობია, ამაში, მგონი, ეჭვი არავის ეპარება. ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკურ ფიგურად ვერ ჩამოყალიბდა და ის სუსტი მმართველი იყო.

***– პოლიტიკურ ფიგურაში რას გულისხმობთ?***

– პოლიტიკურ ფიგურას დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება უნდა შეეძლოს. ღარიბაშვილი კი ასეთი არ იყო.

***– კვირიკაშვილი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს?***

– სამწუხაროდ, არც ის არის ბოლომდე თავისუფალი. ბიძინა ივანიშვილი ისევ აქტიურად არის ჩართული პროცესებში და ყველაფერი მის მიერ იმართება. ნამდვილად არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, თუ ის ქვეყნის პრემიერი იქნებოდა, მაგრამ, რადგან ამ თანამდებობაზე ყოფნა არ ისურვა, არაფორმალურ მართვასაც უნდა დაანებოს თავი. ეს ქვეყანას სერიოზულად აზიანებს.

ჩვენი ვიზალიბერალიზაციის პროცესი გადაიდო, დასავლური სტრუქტურები ეჭვის თვალით გვიყურებენ, ყოველდღე იზრდება რუსული პროპაგანდა. მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი არაფორმალური მმართველობის ბრალია. ევროპას არ მოსწონს, როცა არაფორმალური მმართველი ხელისუფლებას ან საარჩევნო სიას აკომპლექტებს.

***– საარჩევნო სიის დაკომპლექტება ახსენეთ და მან თქვა, რომ ამ პროცესში არ ერევა. მისი მტკიცებით, მან შესაძლოა რამდენიმე კანდიდატი შესთავაზოს გუნდს, მაგრამ მათ უარი უთხრან. რაღაც პერიოდი თქვენც იყავით „ოცნების“ რიგებში და ასეთი რამე მართლა ხდება?***

– მას უარს არავინ ეტყვის, ეს ერთი და მეორე, რიგითმა მოქალაქემ რატომ უნდა უთხრას პარტიას, ვინ უნდა შეიყვანოს პარტიაში? ეს გადაწყვეტილება პარტიის ლიდერმა და პოლიტსაბჭომ უნდა მიიღონ. პარტიის გარედან მართვა არ ივარგებს, რადგან, როცა გარეთ ხარ, კარგად არ იცი, რა ხდება პარტიაში. ამას რომ თავი დავანებოთ, ივანიშვილის ინტერესი სხვაა და ხელისუფლების – სხვა.

***– ივანიშვილმა განაცხადა, რომ ყველაფერი კარგად იცის და მისი მოტყუება ძნელია.***

– ისეთ ციფრებს ასახელებს, საეჭვოა, კარგად ფლობდეს სიტუაციას. გამოვიდა და თქვა, 2016 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ პარლამენტში 95 კაცს გაიყვანსო. ეს იქნება პარლამენტში 2/3-იანი უმრავლესობის მოგროვება. მმართველ გუნდს მოსახლეობაში ასეთი მაღალი მხარდაჭერა არ აქვს და, კარგი იქნება, თუ ივანიშვილი მოსახლეობის განწყობებს გაითვალისწინებს.

საარჩევნო კოდექსთან ისეთი გაჯიუტებულები არიან, ეჭვი მაქვს, რაღაც მანიპულაციებს აპირებენ. ასეთ არჩევნებს ატარებდნენ აღორძინება, მოქალაქეთა კავშირი და ნაციონალური მოძრაობა. სამივე მათგანს მოუწია ხელისუფლებიდან წასვლა. „ქართული ოცნებაც“ მათ ბედს გაიზიარებს, თუ არჩევნების ტოტალურ მოგებას შეეცდება.

სიკეთე თუ უნდათ, მაშინ საარჩევნო კოდექსი უნდა შეცვალონ და მაჟორიტარული სისტემა გააუქმონ, მაგრამ მაჟორიტარებს ვერ ელევიან, პირიქით, მათი დახმარებით აპირებენ უმრავლესობაში მოსვლას. თუ არჩევნებთან დაკავშირებით ივანიშვილის პროგნოზი გამართლდა, მაშინ არჩევნების მეორე დღეს მთელი საქართველო ქუჩაში გამოვა. ხალხის ქუჩაში გამოსვლა იმით დასრულდება, რომ „ოცნება“ ხელისუფლებაში ველარ დარჩება. ხელისუფლების მიღმა დარჩენის შემთხვევაში ეს პარტია საერთოდ გაქრება.

***– საერთოდ რატომ გაქრება?***

– არ არის ეს პარტია მიმზიდველი და, ხელისუფლებაში თუ აღარ იქნებიან, მათ რიგებში არავინ აღარ შევა. ამ გუნდის მთავარი პრობლემა ისაა, რომ ისინი მოსახლეობასთან შედიან კონკურენციაში.

ივანიშვილი ან შეკვეთილშია ჩაკეტილი, ან შუშის სასახლეში. მასთან ხალხის განწყობაზე სხვებს შეაქვთ ინფორმაცია, მე კი ყოველდღე უამრავ ადამიანს ვხვდები და მეტი ინფორმაცია მაქვს. კარგად ვხვდები ხალხის განწყობასაც და გეტყვით, რომ არც „ქართულ ოცნებას“ და არც ნაციონალურ მოძრაობას მოსახლეობა მხარს არ უჭერს. ერთად აღებულ ორივე პარტიას მხოლოდ 40% თუ უჭერს მხარს.

***– ეს 40% მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებაზე როგორ ნაწილდება?***

– ჩემი გათვლებით, 25% მხარს „ქართულ ოცნებას“ უჭერს, 15% – ნაციონალურ მოძრაობას. ამომრჩევლის 60% სხვადასხვა პარტიაზე გადანაწილდება. ასე რომ, მმართველი გუნდი პარლამენტში უმრავლესობით ველარ მოვა. იმედია, არჩევნების გაყალბებაზე ხელს აიღებენ.

კარგი იქნება ისიც, თუ ივანიშვილი წინასწარ არ გააკეთებს განცხადებებს, რამდენ კაცს შეიყვანს პარლამენტში. კარგი იქნება, თუ ასე ხშირად არ შეხვდება მედიას. 7 ივნისის შეხვედრა, ჩემი აზრით, იმიტომ გამართა, რომ სალომე ასათიანთან მომხდარი სკანდალი გადაეფარა. ამ შეხვედრაზე ის უფრო დიპლომატიური იყო. მომეჩვენა, რომ ივანიშვილი გადაღლილია. საკმარისია, რაიმე უხერხული კითხვა დაუსვა, წყობილებიდან გამოდის. ჩემი მეგობრული რჩევაა, შეეშვას პოლიტიკას და წავიდეს ბიზნესში. მას რაღაც რეიტინგი შენარჩუნებული აქვს, მაგრამ არა ისეთი, 2012 წელს რომ ჰქონდა.

***– ბევრი ამბობს, რომ მისი რეიტინგი დავარდა და სხვადასხვა არგუმენტი მოჰყავთ. თქვენ ამის მიზეზად რას მიიჩნევთ?***

– მისი რეიტინგისვარდნის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ დღემდე ნაციონალების ოპოზიციაშია. არადა ეს პარტია 2012 წელს დასრულდა და ქვეყანა განვითარების სხვა გზით უნდა წასულიყო. მართალია, ნაციონალებს ოპოზიციაში უდგას, მაგრამ მურუსიძე მისი კერპია. აჭარის ხელისუფლებას თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ ნაციონალების მარბიელები სხედან თანამდებობებზე.

აქედან შეგვიძლია ასეთი დასკვნა გავაკეთოთ, რომ ის მხოლოდ იმ ნაციონალებს ებრძვის, რომლებიც ამ პარტიაში დარჩნენ. სამაგიეროდ, ისინი ძალიან მოსწონს, რომლებიც 2012 წლის 2 ოქტომბერს გამოიქცნენ. არადა, ეს ხალხი ყოფილი ხელისუფლების ყულაბას წარმოადგენდა და წლების განმავლობაში აფინანსებდნენ ნაციონალებს. პარლამენტში ასეთი, მინიმუმ, 12 მაჟორიტარია, გოდერძი ბუკიადან დაწყებული, კახა ოქრიაშვილით დამთავრებული.

ბიძინა ივანიშვილს მოსწონს მოღალატე ადამიანები და მათ აწინაურებს. ეს ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. ნუგზარ წიკლაურის სიყვარულს ვერავინ დამაბრალებს, მაგრამ ეს ადამიანი ჩემთვის ბევრად მისაღებია, ვიდრე – გოდერძი ბუკია. ეს უკანასკნელი 2 ოქტომბერს „ოცნებაში“ გადახტა, წიკლაური კი დამარცხებულ გუნდთან დარჩა და მათთან ერთად აგრძელებს ბრძოლას.

7 ივნისის შეხვედრაზე ივანიშვილმა განაცხადა, წლების წინ ნაციონალები ხმას არ იღებდნენ მურუსიძეზეო. მასზე იმიტომ არაფერს ამბობდა ყოფილი ხელისუფლება, რომ ის მათ დაკვეთებს ასრულებდა. დღეს იმიტომ ებრძვიან, რომ „ოცნების“ დაკვეთებს ასრულებს. მე არც ნაციონალი ვარ, არც – მეოცნებე და მურუსიძეს იმიტომ ვებრძვი, რომ ის დაკვეთების შემსრულებელია.

---

# „The New York Times“: „ჩვენ დღეს საქართველოში ნაციონალიზმის აღორძინების მომსწრენი ვართ“

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „The New York Times“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემული ის ინციდენტი, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში მდებარე ვეგეტარიანულ კაფეში მოხდა: „ახალგაზრდები, რომლებსაც ხელში შემწვარი ხორცი, ძეხვები და სოსისები ეჭირათ, შეცვივდნენ და იქ მყოფებს ხორცის პროდუქტების ჭამა მოსთხოვეს“, – ნათქვამია სტატიაში (ავტორი – დენ ბილეფსკი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

„საქართველო კავკასიის პატარა, მაგრამ ამაყი სახელმწიფოა, რომელმაც 2008 წელს რუსეთთან ომი დაიწყო და ამიტომ კონფლიქტები მისთვის უცხო არ არის, თუმცა თბილისის ვეგეტარიანულ კაფეში უკანონოდ შეჭრა იმის საფრთხის გრძნობას აღვიძებს, რომ კულტურათა შორის ომი შეიძლება უფრო გამძაფრდეს. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მომხდარი ფაქტი იმის შედეგია, რომ პოსტსაბჭოთა საქართველო დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ახლა კი, რადგან სწრაფად მიდის ევროატლანტიკური გზით, ცდილობს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას, შესაბამისად, კონსერვატიული ძალები ამ სვლის შეფერხებას ცდილობენ“, – წერს ავტორი და თან სამი წლის წინ თბილისში გამართულ გეიაღლუმის გარემოებებსაც იხსენებს, რომელმაც საზოგადოებაში მწვავე კონფლიქტი გამოიწვია.

„ჩვენ დღეს საქართველოში ნაციონალიზმის აღორძინების მომსწრენი ვართ, რომელსაც რუსეთი ხელს უწყობს – მოსკოვური პროპაგანდის თანახმად, ევროპა საქართველოს თავს ახვევს ერთსქესიანთა ქორწინებებსა და გეიაღლუმებს“, – ამბობს გიორგი გოგია, თბილისში არსებული „ჰიუმან რაითს ვოჩის“ სამხრეთ კავკასიის ოფისის ხელმძღვანელი. „ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრირების მხარდამჭერია, მაგრამ ქვეყანა ძირითადად მაინც კონსერვატიული რჩება – მართლმადიდებელ ეკლესიას ძალიან დიდი გავლენა აქვს. ესაა რეაქცია უცხოური გავლენის წინააღმდეგ“. ვეგეტარიანულ კივი-კაფეში კი, როგორც ცნობილია, ძირითადად იკრიბებიან ჰიპსტერები, ჰომოსექსუალები ანუ ისეთები, რომლებიც დასავლური ლიბერალური ფასეულობების სიმბოლოს წარმოადგენენ.

„საქართველოს მმართველმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც დასავლეთთან მჭიდრო კავშირების განვითარების მომხრედ გამოდის, ამას წინათ ოჯახის განმსაზღვრელი საკითხის ინიცირება მოახდინა და განაცხადა, რომ ქორწინება მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირია. როგორც გიორგი გოგია ამბობს, ეს წინადადება იმაზეა გათვლილი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერი მიიზიდოს. იმავდროულად, საქართველო ევროკავშირის ზეწოლის გამო იძულებული გახდა, ანტიდისკრიმინაციული კანონი მიეღო, რომლის თანახმად, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების დისკრიმინაცია იკრძალება.

„იმ დღეს, როცა საქართველო დამოუკიდებლობის მორიგ წლისთავს ზეიმობდა, კივი-კაფეში შეჭრამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისის ქუჩებში ნაციონალისტთა ჯგუფი გამოჩნდა, რომლებიც „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის“ გაიძახოდნენ. ზოგიერთს ამ სცენამ ეთნიკური მტრობა გაახსენა, რომელიც იმ პერიოდში გაღვივდა, როცა 1991 წელს საქართველომ რუსეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა“, – ნათქვამია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

---

# ნიკა გვარამია: „წერონ და იკითხონ“

## თბილისის სააპელაციო სასამართლოში რუსთავის 2-ის საქმის განხილვა დასრულდა

გუშინ, 7 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში რუსთავის 2-ის საქმის განხილვა დასრულდა. მოსამართლეთა კოლეგია, რომელიც სამი მოსამართლისგან შედგება, სათათბიროდ გავიდა.

გუშინდელ პროცესზე მოსამართლეებმა ქიბარ ხალვაშის ადვოკატის ახსნა-განმარტება მოისმინეს, ასევე მოხდა საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა.

მხარეებისთვის უცნობია, როდის გამოაცხადებს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგია განაჩენს. როგორც ისინი აღნიშნავენ, სასამართლო მათ თარიღს განაჩენის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე აცნობებს.

ქიბარ ხალვაშის ადვოკატს იმედი აქვს, რომ სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას უცვლელად დატოვებს. ტელეკომპანია რუსთავის 2-ის, ტელეკომპანია საქართველოსა და ძმები ყარამანიშვილების ადვოკატები კი პროცედურების დარღვევაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე პროცესებს მართლმსაჯულებასთან კავშირი არ აქვს.

– ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ პროცესი რაც შეიძლება სწრაფად წარიმართოს, – განაცხადა რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ.



ის განმარტავს, რომ თუკი საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს მათ საჩივრებს, აღნიშნულმა კოლეგიამ რაც არ უნდა ქნას, ყველაფერი უკან დარჩებათ.

– სასამართლო და მოწინააღმდეგე მხარე სრულიად შეთანხმებულად იქცევიან და ეს ყველაფერი ორკესტრირებულია ხელისუფლების მიერ. ესენი ერთი მხარე არიან. ველოდებით საკონსტიტუციო სასამართლოსაც. ამ კოლეგიამ რაც არ უნდა ქნას, თუ ჩვენი სარჩელები საკონსტიტუციო სასამართლოში დაკმაყოფილდება, წერონ და იკითხონ. ეს ყველაფერი უკან დარჩებათ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# ია ანთაძე: „ახლანდელი რუსთავი 2 ხელისუფლებისთვის ნაკლებად სახიფათოა“

## „ივანიშვილისგან 2 მნიშვნელოვან კითხვაზე მივიღე პასუხი“

ნონა ცაბაძე

**ბიძინა ივანიშვილის გუშინდელ შეხვედრას მასმედიის წარმომადგენლებთან საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თუმცა ყველა თანხმდება ერთზე, რომ ივანიშვილი შეხვედრისას აგრესიულობით არ გამოირჩეოდა.**

ბიძინა ივანიშვილის გზავნილებს, მის განცხადებებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მედიაექსპერტი ია ანთაძე აფასებს.

***– ია, როგორია თქვენი შეფასებები ყოფილი პრემიერის განცხადებებზე? საუბარია, რომ ივანიშვილი ნაკლებად აგრესიული იყო, ასეა?***

– მეც ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა იყო იმ კუთხით, რომ რამდენიმე საკითხზე მივიღე პასუხი. ძალიან კონკრეტული იყო ამ მხრივ ზოგიერთი პასუხი და იყო მნიშვნელოვანიც.

***– მაინც რა იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი?***

– ყველაზე მნიშვნელოვანი, რა კითხვაზეც მე მივიღე პასუხი, არის ის, თუ ვინ დააკომპლექტებს პარლამენტის სიას, ვინ იქნება ამ სიაზე პასუხისმგებელი და პარტიის რეალური ლიდერი ვინ არის. ჩვენ ვიცით, რომ გაცილებით უფრო ადრე გახდა გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრი, ვიდრე პარტიის ლიდერი იქნებოდა და მთელ იმ პერიოდში მე ვერ ვხედავდი, რომ ის პარტიის საქმეში რამენაირად ერეოდა.

***– მაშინ ვინ ერეოდა?***

– სხვა ადამიანები იყვნენ იქ და შედეგიც გვქონდა კორცხელის სახით. მე მივიღე მესიჯი, რომ ამიერიდან პარტიის საქმიანობასაც გაუწევს ლიდერობას კვირიკაშვილი და სიაზეც ის იქნება პასუხისმგებელი. ასევე მივიღე ბიძინა ივანიშვილისგან პასუხი იმასთან დაკავშირებით, რომ მას მიაჩნია, თუ კორცხელის მსგავსი შემთხვევები არ განმეორდა არჩევნების წინა პერიოდში, სხვა საფრთხე დღევანდელ ხელისუფლებას არ ემუქრება.

***– საკმაოდ კრიტიკული იყო ივანიშვილი კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით და ამაზე რას იტყვით?***

– დიახ და კორცხელის ინციდენტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ გიორგი კვირიკაშვილის ძალაუფლებას პარტიაში. სხვანაირად არ გამოვა. ეს დაიგეგმა, მოხდა, თუ პროვოკაციაზე წამოეგნენ, მნიშვნელობა არ აქვს, ფაქტია, რომ „ქართულ ოცნებას“ წაყვანილი ჰყავდა და მისი სახელით იქ მოქმედებდნენ სპორტსმენები, რომლებსაც იქ არაფერი არ ესაქმებოდათ. მით უმეტეს, თუ მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობა პროვოკაციას გეგმავდა, ცხადია, იქ უნდა ყოფილიყვნენ პოლიტიკოსები და არ უნდა ყოფილიყვნენ სპორტსმენები. ამიტომ კორცხელის ინციდენტი იყო ძალიან სერიოზული პარტიული შეცდომა.

***– ეს შეცდომა ვის ეწერება, კვირიკაშვილს?***

– არ ეწერება და საქმეც ამაშია. ეს კვირიკაშვილის სტილი არ არის, არანაირად. ეს არის ადამიანი, რომელიც, თუკი მის ხელში იქნება რეალური ძალაუფლება პარტიაში, არ დაუშვებს მსგავს შეცდომებს.

***– ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ მის გარეშე დაიგეგმა?***

– დიახ. მან ძალიან გვიან აიღო პარტიაში ძალაუფლება და კორცხელის ინციდენტის პერიოდში ჰქონდა თუ არა ეს ძალაუფლება, ეს კიდევ საკითხავია. დღეს არის ბევრად მკაფიო სიტუაცია, როდესაც გიორგი კვირიკაშვილი არის პრემიერ-მინისტრი, ყველაფერზე მას აქვს პასუხისმგებლობა.

კორცხელის ინციდენტის წინა პერიოდში ის პარტიას არ ეკარებოდა, რადგან არ იყო ოფიციალურად არჩეული. დღევანდელი დღის შემდეგ კი ყველაფერი გასაგებია, ჩვენ მოვისმინეთ ივანიშვილის მოსაზრება, თუ ვინ არის პასუხისმგებელი პარტიულ საქმიანობებზე. მეორე, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, იყო რუსთავი 2-ის თემა.

***– სწორედ ეს უნდა მეკითხა. ია, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ის ფინანსურ გარანტად დადგება, რომ არჩევნებამდე რუსთავი 2-ს არ შეეხონ. რისი თქმა უნდოდა ამით ივანიშვილს?***

– ივანიშვილს რუსთავი 2-ზე გარანტია რამდენად აინტერესებს, ვერ გეტყვით, თუმცა მე კარგად დავინახე, რომ ბიძინა ივანიშვილი კარგად აცნობიერებს იმ საქმეს, რაც შეიძლება ახლდეს რუსთავი 2-ის გადაცემას ახალი მენეჯმენტისთვის არჩევნების წინა პერიოდში. ეს მკაფიოდ დავინახე. მე როგორც მოქალაქე, ვხედავ ამ საფრთხეს, რომ თუ რუსთავი 2-თან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების მიღება მოხდება სწრაფად, უზენაესი ამას გაივლის ძალიან სწრაფად და მიიღებს გადაწყვეტილებას რუსთავი 2-ის მფლობელების წინააღმდეგ, ამას შეიძლება ბევრად მეტი უსიამოვნება მოჰყვეს საზოგადოებისთვის, ვიდრე იმას, რომ რუსთავი 2 არის ისეთი, როგორიც არის. დიახაც, ნაციონალურ მოძრაობას ძალიანაც აძლევს ხელს, რაც უფრო მეტი და ძლიერი მუხტი იქნება ხელისუფლების წინააღმდეგ.

***– ყვირილის და პროტესტის მეტი საშუალება რომ ჰქონდეთ?***

– დიახ. რუსთავი 2 დღევანდელი მფლობელების და მენეჯმენტის ხელში გაცილებით ნაკლები საფრთხეა, ვიდრე სხვა მენეჯმენტის და სხვა მფლობელის ხელში იქნება არჩევნების წინა პერიოდში. ამიტომ მე ამაზეც მივიღე პასუხი, რომ ბიძინა ივანიშვილი საზოგადოების დიდ ნაწილთან ერთად ამას აცნობიერებს. ეს იყო ორი მთავარი მესიჯი, რომელიც მე მივიღე ამ პრესკონფერენციიდან.

***– ანუ ეს იყო გზავნილი, რომ წინასაარჩევნოდ სიტუაცია არ დაიძაბება?***

– მე ასე გავიგე, რომ წინასაარჩევნოდ სიტუაცია რეალურად გადაბარდა გიორგი კვირიკაშვილს.

***– 8 ივნისიდან ოფიციალურად იწყება წინასაარჩევნო კამპანია და ივანიშვილის პრესკონფერენცია ამ დღეს შეგნებულად დაემთხვა?***

– შესაძლოა ეს პირდაპირ არ ემთხვევა დღევანდელ დღეს, მაგრამ გარკვეული პერიოდის წინ თქვა ბიძინა ივანიშვილმა, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს წინასაარჩევნო პერიოდში, ხშირად შეხვდება მედიას და საზოგადოებას მიაწვდის საკუთარ ხედვებს. წინასაარჩევნო პერიოდი უკვე დიდი ხანია დაწყებულია.



***– მისი შერბილებული ტონიც პიარის ნაწილია? ვინმემ ურჩია?***

– ამ შეხვედრას ფონი შეუქმნა სალომე ასათიანთან ინტერვიუმ. ამიტომ ეს შეხვედრა გამოჩნდა ბევრად უფრო კონსტრუქციული, ვიდრე ის ინტერვიუ იყო. თუმცა მე მგონია, რომ ის ინტერვიუც მისაღები იყო და ორივე მხარისთვის იყო ძალიან საინტერესო გაკვეთილი.

***– მიჯირყვნას ადგილი არ ჰქონია.***

– შეიძლება თვითონ სცადა, რომ ბევრად რბილი ყოფილიყო, შეიძლება ურჩიეს. მე ამას მაინცდამაინც არჩევნებთან არ დავაკავშირებდი. მე ამ კონფერენციიდან მივიღე ჩემს კითხვებზე უშუალო პასუხები.

# „მექიაურის პარტია ბურჯანაძის დასასუსტებლად შეიქმნა“

## ვალერი გელბახიანი: „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის გარიგებაა“

მარიამ მჭედლიშვილი

**ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ტელეწამყვანებთან შეხვედრისას კორცხელის ინციდენტზეც ისაუბრა. მისი აზრით, ეს ინციდენტი ნაცმოძრაობის პროვოცირებულია, ხელისუფლება კი ამ საქმეში სწორად მოიქცა. ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დასაშვებად მიიჩნევს, რომ შუალედური არჩევნებისას მომხდარ სისხლიან ცემა-ტყეპაში ნაცმოძრაობის პროვოკაცია ერიოს. ამასთან, ის „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობაზეც საუბრობს.**

**ვალერი გელბახიანი:**

– ბიძინა ივანიშვილის შეფასებას კორცხელის ფაქტთან დაკავშირებით ნაწილობრივ ვეთანხმები. შეიძლება ეს ნაციონალური მოძრაობის დაგეგმილი იყო. ნაცმოძრაობის წევრები ყველა საკითხს იყენებენ სიტუაციის დასაძაბავად და საერთაშორისო ხმაურის გამოსაწვევად. ეს ტექნოლოგიები ნაციონალებს კარგად აქვთ ათვისებული, მაგრამ კითხვებს აჩენს მეორე მხარის მოქმედებებიც.

ჩხუბში ნაციონალები და „ქართული ოცნება“ მონაწილეობდნენ. სპორტსმენების ჯგუფი იქ ნაცმოძრაობას არ ჩაუყვანია. ფაქტია, რომ ვილაცამ ორგანიზება გაუკეთა ამ ჯგუფის სამეგრელოში ჩაყვანას. ამის შესახებ დილიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია. განსაკუთრებით, რუსთავი 2-ის საშუალებით. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. ოთხი საათის შემდეგ ინციდენტი მოხდა.



***– მონაწილეები პასუხს აგებენ.***

– დიახ, მაგრამ ორგანიზატორებზე არავინ არაფერს ამბობს.

***– გამოდის, რომ ასეთი ინციდენტის მოწყობა ორივე მხარეს აძლევდა ხელს.***

– დიახ. ამის ნიშნები ჩანს. ამ ეჭვს აღრმავებს ის, რაც შემდეგ პარლამენტში მოხდა – ნაციონალური მოძრაობის დეპუტაციამ, კორცხელის ინციდენტის გამოძიების მოთხოვნის საბაბით, ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტს.

***– რაც, „ქართულ ოცნებასაც“ აწყობდა?***

– ბუნებრივია. ბოიკოტი დაემთხვა არჩევნებში ხმების დათვლის გერმანული მოდელის განხილვას. ამ მოდელის მოწინააღმდეგე მარტო „ქართული ოცნებაა“. სხვა ყველა პოლიტიკური ძალა შეთანხმდა, რომ ეს ნორმა პროგრესულია და ხელს შეუწყობს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ამის მომხრე იყო ნაციონალური მოძრაობაც, რომელმაც მოულოდნელად შეწყვიტა პარლამენტში სიარული. ამის შედეგად ეს კანონპროექტი ჩავარდა.

***– ანუ, ორპოლუსიანობის დამკვიდრების მცდელობა იკვეთება?***

– სამწუხაროდ, ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა აღარაა 2012 წელი, როცა მთავარი ამოცანა იყო სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა და შუა გაიკრიფა. ახლა, 2016 წელს, ნამდვილად შეიქმნა იმის საფუძველი, რომ საარჩევნო ბარიერი კიდევ გადალახოს 5-მა ან 6-მა სუბიექტმა. რეალობა ორპოლუსიანი არაა, მაგრამ ორპოლუსიანობას ამკვიდრებენ.

***– ამას სააკაშვილიც აკეთებს?***

– რა თქმა უნდა. ის თავის გამოსვლებში აცხადებს, რომ პოლიტიკაში ორი ძალაა – ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“, ლიდერები კი მარტო თვითონ და ივანიშვილი არიან. ივანიშვილიც თავის წერილსა და შეხვედრებში ამას ამტკიცებს.

***– ამის მიზანია ორპოლუსიანი პარლამენტი?***

– ამის მიზანია, რომ პოლიტიკას და პარლამეტს ჩამოაშორონ ყველა, ამ ორმა ძალამ კი გადაინაწილოს მანდატები. ეს 2012 წელსაც მოხდა. სამწუხაროა, მაგრამ იმ დროიდან არც მიზანი შეცვლილა, არც ამოცანა და არც – საგანი.

***– ხომ არ შეიძლება, ეს დაუსრულებლად გაგრძელდეს?***

– თუ არაფერი შეიცვალა, თუ ამ ორ ძალას შორის შეთქმულება გაგრძელდა, ეს დიდ დაძაბულობაში გადაიზრდება. მაშინ შეიძლება თავისი სიტყვა თქვას ხალხმა.

***– ამ პარტიებში დაშლის პროცესიც მიდის. მაგალითად, თამაზ მეჭიაურმა შექმნა თავისი პარტია.***

– ეს ყველაფერი „ზევიდან“ მოდის. ქვეყნის ინტერესებისთვის, გარკვეულწილად, ასეთი ტაქტიკა ცუდი არ იქნებოდა. ერთი მხრივ, ივანიშვილი ამერიკელებს ეტყოდა, განსხვავებული მოსაზრებების ხალხი პარტიიდან გავუშვითო. მეორე მხრივ, რუსეთს შეუთვლიდა, თქვენთან დიალოგის მომხრე პარტიაც გვყავსო. არის ეჭვი, რომ მეჭიაურის პარტია სხვა მიზნისთვის შეიქმნა.

***– რა მიზნისთვის?***

– ნინო ბურჯანაძისა და მისი ძალის დასასუსტებლად. იდეები, რომლებსაც მეჭიაური და მისი გუნდი აყენებენ, ახალი არ არის. მათ ემხრობა საზოგადოების დიდი ნაწილი და მათ ატარებს ბურჯანაძის პარტია. ამიტომ, უნდათ, რომ ამ ახალმა გაერთიანებამ ხმები წაართვას ნინო ბურჯანაძეს.

***– გიორგი ვაშაძის ახალ პარტიაზე რისი თქმა შეიძლება?***

– თუ ატყობთ, „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობაში ერთნაირი პროცესები მიდის. ნაცმოძრაობა სამ ნაწილად გაიშალა, ანუ გაფართოვდა. იგივე ხდება „ოცნებაშიც“. ნაცმოძრაობიდან გამოყოფილი ნაწილების არაოფიციალური ლიდერი სააკაშვილია. „ოცნებიდან“ გაშლილი ნაწილების უსტატუსო ლიდერი კი – ივანიშვილი.

ისინი მომავალში აპირებენ ისევ გაერთიანებას, თუ ბარიერი გადალახეს. პარლამენტში ახალი სუბიექტების მოხვედრა დამოკიდებულია ლიდერების მიერ გამოყოფილ ფინანსებზე. ვწუხვარ, რომ ელექტორატს პოლიტიკური სიმწიფე აკლია ამგვარი თამაშების გააზრებისათვის. თუ ხალხი მიხვდა, რაც ხდება, ამ ყველაფერს უარს ეტყვის.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მიხეილ სააკაშვილი კარავში გამაგრდა

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტყოფილი უკრაინელების გაოცებას აგრძელებს. ამჯერად მიხეილ სააკაშვილმა მთელ სამყაროს ამცნო, რომ გუბერნატორის კაბინეტიდან კარავში გადაინაცვლა.**






ნაპრეზიდენტალმა კარავში გადაბარგების გადაწყვეტილება 5 ივნისს მიიღო, გუშინ, 7 ივნისს კი იქ რამდენიმე თათბირი და სამუშაო შეხვედრა გამართა. ახალი სამყოფელით ჩვენებური ძალიან კმაყოფილია.

კარავში გადასვლა სააკაშვილს ოდესა-რენის გზის მშენებლობისთვის არასაკმარისი ოდენობით გამოყოფილმა თანხებმა გადააწყვეტინა.

– ჩემი ოფისი გადავიდა კარავში ოდესა-რენის ტრასაზე. ყველა სამუშაო შეხვედრასა და მიღებას, გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ კარავში გავმართავ და კარავს არ დავტოვებ მანამდე, სანამ არ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაოების 100%-იანი დაფინანსება. საკმარისია ადამიანების დაცინვა, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ახლადგახსნილ კარავში სააკაშვილი პირველ რიგში მეგზევეებს შეხვდა.

– ჩვენს კარავში სრული დატვირთვით ამუშავდა კაბინეტი. აქ რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. პირველ რიგში ჩვენ გზის მშენებლებს შევხვდით. მათთან საუბრისას გაირკვა, რომ საბოტაჟი გრძელდება, – აღნიშნავს სააკაშვილი.

ექსპრეზიდენტის ინფორმაციით, კარავში გამართულ შეხვედრებზე გადაწყდა, რომ რამდენიმე ქუჩას სახელი შეეცვლება.

– გადავწყვიტეთ, რომ რამდენიმე ქუჩას სახელებს გადავარქმევთ და მათ გამოჩენილი ოდესელების სახელებს მივანიჭებთ, – იუწყება გუბერნატორი.

კარავს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს. სააკაშვილი ბედნიერია იმით, რომ გამვლელები მანქანებს აჩერებენ და მათ კარავში იჭყიტებიან.

სამუშაო შეხვედრების შემდეგ სააკაშვილმა კარავი დატოვა და კიევში გაემგზავრა, თუმცა ოდესელებს დაუბარა, მალე ისევ კარავში ვიქნებიო.

– კარავს ოთხშაბათს დილით დავუბრუნდები. როგორც კი კიევში სამუშაო შეხვედრებს დავასრულებ, აქ ვიქნები, – დაიბარა ნაპრეზიდენტალმა.

* * *

კარავში გამაგრების გარდა, სააკაშვილი ყურადღების ცენტრში სხვა ამბების გამოც მოექცა.

გუბერნატორი ოდესის ოლქში სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს, მისი თქმით, ოლქის 27-ვე გამგებელი თანამდებობას დატოვებს, ასევე პოსტებზე აღარ იქნებიან საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელები. უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით, ოდესის ოლქის გუბერნატორთან შეთანხმებით დაინიშნებიან სხვა ადამიანები.

რაც შეეხება ყოფილი ქართველი მაღალჩინოსნების დანიშვნას, სააკაშვილი ჯერჯერობით არცერთ გვარს არ განიხილავს თანამდებობაზე და აპირებს, რომ უკრაინელ მეგობრებთან კონსულტაციების შემდეგ უკრაინელი ახალი სახეები დანიშნოს თანამდებობებზე.

გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობა შესაძლოა თავად გუბერნატორმაც დატოვოს. ადგილობრივი მედია არ გამორიცხავს, რომ ის შესაძლოა დავით საყვარელიძის პარტიაში წავიდეს.

უკრაინული მედიის ცნობით, ნაპროკურორალი თავის პარტიას საზოგადოებას ამ თვის ბოლოს წარუდგენს. მართალია, პარტია ჯერ არ შეუქმნია, მაგრამ სჯერა, რომ რადაში მოხვდება.

– ჩვენ არ გვაქვს ამბიცია, ვინმე ჩვენ მხარეს გადმოვქაჩოთ. ჩვენი ამბიციაა, გავაერთიანოთ ყველა ეფექტური და პატიოსანი ადამიანი, რომლებიც შეძლებენ უკრაინის კრიზისიდან გამოყვანას. ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო პოლიტიკური პლატფორმის შექმნა, რომ პროცესში არ შევიდნენ შეიარაღებული ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ უკრაინის ბედის შეცვლა ათწლეულებით, – განაცხადა საყვარელიძემ.

მან ცოტა ხნის წინ უკრაინელებს ამცნო, რომ მისი პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი მიხეილ სააკაშვილი იქნებოდა, ახლა ამბობს, რომ გუბერნატორი მათთან არ იქნება.

მისი თქმით, ახალი პარტია არ იქნება ქართული და არ იქნება მიხეილ სააკაშვილის პარტია. საყვარელიძის ინფორმაციით, ახალ პარტიას ჯერ სამუშაო სახელიც კი არ გააჩნია, მაგრამ შეუძლია, 17 ივლისის უმაღლესი რადის არჩევნებზე სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს დაუჭიროს მხარი.

# ლადო ბოჟაძე: „წელს ერთ-ერთი სამაგალითო არჩევნები ჩატარდება“



„სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის ცენტრის“ დირექტორ ლადო ბოჟაძის განცხადებით, წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები სამაგალითო იქნება.

ამის შესახებ ბოჟაძემ გუშინ, 7 ივნისს, გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ ახალი პოლიტიკური პარტიების დარეგისტრირება იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში დემოკრატიული გარემოა და არჩევნებზე კენჭისყრას აზრი აქვს.

– არაერთი არჩევნები ყოფილა ქვეყანაში, როცა პოლიტიკური პარტიები სწორედ იმის გამო, რომ არ არსებობდა ქვეყანაში დემოკრატიული გარემო, უარს ამბობდნენ არჩევნებში მონაწილეობაზე და ამ ფორმით გამოხატავდნენ პროტესტს. ახლა ის, რომ ქვეყანაში არ არის დემოკრატიული გარემო და არჩევნებზე წასვლას არ აქვს აზრი, ასეთი განცხადება ჩვენ არცერთი პოლიტიკური პარტიისგან არ მოგვისმენია და, პირიქით, ალბათ, ეს არჩევნები იქნება ყველაზე მრავალპარტიული არჩევნები, რომელზეც ძალიან ბევრი საარჩევნო სუბიექტი იქნება რეგისტრირებული. ახალი პარტიების დარეგისტრირება იმას ნიშნავს, რომ ყველა პირობაა ქვეყანაში შექმნილი, რომ ნორმალურ საარჩევნო გარემოში ჩაატარონ პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი საარჩევნო კამპანია, მედია იყოს მათთვის ხელმისაწვდომი, არ ხდებოდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რომ შეეზღუდოს პოლიტიკურ პარტიებს ამომრჩეველთან შეხვედრა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ-ერთი სამაგალითო არჩევნები ჩატარდება, – განაცხადა ლადო ბოჟაძემ.

ლადო ბოჟაძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრი, სავარაუდოდ, ხვალ მოაწერს ხელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებას და ქვეყანაში ოთხთვიანი წინასაარჩევნო კამპანია დაიწყება. ბოჟაძის თქმით, იმ მინისტრებმა, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავენ, თანამდებობა 8 სექტემბერს, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე უნდა დატოვონ. რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს, ბოჟაძის განცხადებით, მათ მსგავსი შეზღუდვები არ გააჩნიათ და მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში შეეძლებათ, საარჩევნო კამპანია აწარმოონ.

**მედიანიუსი**

# „The Irish Times“: „როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიებს იტაცებს, ევროკავშირი სხვა მხარეს არ უნდა იყურებოდეს“

ირლანდიური გამოცემა „The Irish Times“ საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს, სადაც ნათქვამია, რომ როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიებს იტაცებს, ევროკავშირი სხვა მხარეს არ უნდა იყურებოდეს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის მიმოხილვას თავისუფალი თარგმანით:

პუბლიკაციაში საუბარია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით დონდუას ვიზიტზე ირლანდიაში, რომელიც 17-18 მაისს გაიმართა. დუბლინში ყოფნისას ქართველ დიპლომატს „აირიშ თაიმსის“ კორესპონდენტი რედჰემ მაკკორმაკი შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა.

დავით დონდუა, რომელიც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელია ჟენევაში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „გაყინული კონფლიქტების“ მოსაგვარებლად მიმდინარე კონსულტაციებზე, ირლანდიელ ჟურნალისტთან საუბარში ამბობს, რომ მოსკოვი ამ რეგიონების შთანთქმას ყირიმის მსგავსად ცდილობს. რუსეთმა საქართველოსთან 2008 წელს მომხდარი ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ათასობით სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო ტექნიკა განალაგა. სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოსკოვის მიერ გაფორმებულ შეთანხმებებში თბილისი ამ რეგიონების რუსეთთან მიერთების მცდელობას ხედავს. როგორც დავით დონდუა ამბობს, რუსები ამას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, ყირიმისაგან განსხვავებით, უფრო ნელა, თანდათანობით აკეთებენ. შესაბამისად, საქართველოსთვის უფრო რთული ხდება საერთაშორისო თანამეგობრობის გაფრთხილება და მისი მობილიზება პრევენტიული ზომების მისაღებად.

„საერთაშორისო პრესას არ აინტერესებს ის მოვლენა, როცა არ ისვრიან, არ იხოცებიან ადამიანები, ბომბები არ ფეთქდება. ჩვენდა საბედნიეროდ, ღია კონფლიქტი არ მიმდინარეობს, მაგრამ არც მშვიდობა არ არის“, – აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. იგი ეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან (2012 წლის ოქტომბრიდან) რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობს – განახლდა ვაჭრობა, გაიხსნა კომუნიკაციის არაოფიციალური არხები, რუსულენოვან მასმედიას საქართველოში მაუწყებლობის ნება მიეცა და ა.შ. თუმცა, ამის მიუხედავად, უსაფრთხოების საკითხების მოგვარება ჩიხში შევიდა: რუსეთი საქართველოსაგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ძალის გამოუყენებლობის თაობაზე შეთანხმების გაფორმებას ითხოვს, საქართველო კი აცხადებს, რომ უპირველესად აუცილებელია დაახლოებით 200 ათასი იძულებით გადაადგილებული პირების (უმთავრესად ქართველების) დაბრუნება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამ საკვანძო საკითხებზე შეთანხმება ჯერჯერობით მიღწეული არ არის. მასალაში ნათქვამია, რომ თბილისი ევროპულ ქვეყნებს რუსეთთან ურთიერთობებში საქართველოს დაცვასა და მოსკოვზე ზეწოლას სთხოვს. რუსეთის უკანონო ქმედების შეჩერება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მოსკოვი მიხვდება – ასეთი პოლიტიკის გატარება მას ძალიან ძვირი დაუჯდება.

საქართველოს მთავრობისათვის უფრო მნიშვნელოვანია ევროკავშირთან დაახლოება, რათა თავის აფხაზ და ოს თანამოქალაქეებს რუსეთთან ცხოვრების ალტერნატივა აჩვენოს. გასული ოთხი წლის განმავლობაში საქართველომ თავისი ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირს შეუთანხმა, უკვე ხელმოწერილია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას ითვალისწინებს. ამ ზაფხულს კი საქართველოს მოქალაქეები უვიზო რეჟიმის მიცემას ელოდებიან ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად სამოგზაუროდ. „ამით ის ადამიანები,




რომლებიც საოკუპაციო ხაზის მიღმა არიან, დარწმუნდებიან, რომ საქართველოში ცხოვრება ევროპაში ცხოვრებას ნიშნავს“, – ამბობს ინტერვიუში დავით დონდუა.

„საქართველო ევროპული სახელმწიფოა – მენტალიტეტით, კულტურით, რელიგიით, ფასეულობებით... ჩვენი კანონები სრულიად ეთანხმება ევროკავშირის კანონებს, მაგრამ ეს არასაკმარისია. გვჭირდება უფრო მეტი აქტიური კონტაქტები. ჩვენ გვინდა, რომ ქართველები ევროპაში გაემგზავრონ და იქ საკუთარი თვალით დაინახონ, როგორ ცხოვრობენ ევროპელები, გამოცდილება გაიზიარონ და უკან წარმატებული პრაქტიკული შედეგით დაბრუნდნენ“, – აცხადებს დავით დონდუა „აირიშ თაიმსის“ კორესპონდენტთან საუბრისას.

დასავლეთთან ინტეგრაციის განვითარების ფონზე საქართველოს მთავრობა საკმაოდ არის შეშფოთებული იმით, რომ რუსეთი სულ უფრო აგრესიულად იყენებს „რბილ ძალას“, რითაც საზოგადოებაში მხარდაჭერის მოპოვება სურს. მოსკოვი საქართველოში ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდის დასაფინანსებლად, რომლებიც მისი მიზნების განხორციელებას ემსახურებიან.

როგორც დავით დონდუა ამბობს, რუსეთი ქართველების თვალში ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრირების კომპრომეტირებას ვერ შეძლებს, მაგრამ მოსკოვი ყურადღებას ინტეგრირების პროცესზე ამახვილებს, რომელიც ისე სწრაფად არ მიდის, როგორც ქართველებს სურთ. „მათი განცხადება ასეთია: დიახ, ეს ორგანიზაციები კარგია, მაგრამ თქვენ მათში ვერასოდეს გაწევრიანდებით, რადგან მათ საქართველო და თქვენი რეგიონი არ აინტერესებთ“, – ქართველი დიპლომატის ამ სიტყვებით მთავრდება ინტერვიუ.

**ნიუსპრესი**

# დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილი მხოლოდ „ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ახსენებს“

რესპუბლიკური პარტიის წევრი, დეპუტატი დავით ბერძენიშვილი, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს აფასებს, რომელიც მან მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გააკეთა. ბერძენიშვილის განცხადებით, საქართველოს აქვს შანსი, უკეთესი მომავალი ჰქონდეს.

– ყოფილმა პრემიერმა ძალიან ბევრ საკითხზე ისაუბრა. ძალიან საინტერესო იყო მისი საუბარი. ბევრჯერ ახსენა ნაციონალური მოძრაობაც, ბევრჯერ ახსენა მისი პარტია „ქართული ოცნება“. სხვა პარტიების ხსენებას ის გაურბის. ჩემი შეფასებით, ნაციონალური მოძრაობა არის წარსული, დღევანდელი „ქართული ოცნება“ არის აწმყო და ჩვენ გვაქვს შანსი, გვქონდეს უკეთესი მომავალი, – განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

**ნიუსპრესი**



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოს საგარეო კურსი შეიძლება შეიცვალოს“

გულიკო ბალაძე

– თუ ევროკავშირი უარს იტყვის საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციაზე, ეს იქნება დასავლური კურსის სრული კრახი. ეს უნდა გახდეს ქვეყნის საგარეო კურსის გადახედვის მიზეზი. ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ პარლამენტის ყოფილი წევრი და გაერთიანებული დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე საუბრობს.

***– რატომ ფერხდება საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულება?***

– ვიზალიბერალიზაციის პროცესის მოულოდნელი მიმართულებით განვითარება ჩვენი ხელისუფლების პირდაპირი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია.

***– რა თვალსაზრისით?***

– ძირეული თვალსაზრისით.

***– კერძოდ?***

– საქართველომ დღეს არ მოითხოვა ვიზალიბერალიზაცია. ეს იყო ლოგიკური გაგრძელება პრობლემებისა, რომელსაც 2006-2011 წლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში სამოქმედო გზა ეწოდებოდა. იყო საშინაო დავალებები, რომლებიც საქართველოს უნდა შეესრულებინა. დღეს ევროკავშირის სტრუქტურებიდან გვესმის, რომ საქართველოს მხრიდან მოზღვავებული მიგრაციული პროცესები არის ერთ-ერთი შემაბრკოლებელი ფაქტორი ვიზალიბერალიზაციაზე უარის თქმისთვის. გერმანიისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომ საქართველოდან დიდი რაოდენობით კრიმინალი შეედინება ევროკავშირის სახელმწიფოებში.

***– ეს განცხადება უსაფუძვლოდ მიგაჩნიათ?***

– ამაზე დიპლომატიური პასუხი ჩვენს ხელისუფლებას აუცილებლად უნდა გაეცა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ევროკავშირთან გავაფორმეთ რეადმისიის ხელშეკრულება, რომელიც 2006-2011 წლების ხუთწლიანი სამოქმედო გზის დასასრულს განხორციელდა.

რეადმისიის ხელშეკრულება საქართველოს მხარეს ავალდებულებს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე გამოვლენილი არალეგალისა და უკანონო მიგრანტის (საქართველოს მოქალაქის) ან ტრანზიტული მოძრაობით საქართველოდან შესული ნებისმიერი პირის (თუ გამოავლენენ) დეპორტაციის ხარჯები საკუთარი ბიუჯეტიდან აანაზღაუროს.

შესაბამისი პრაქტიკაც არსებობს. გერმანიაში 24.500 მიგრანტი საქართველოს მოქალაქეა. მათ შორის 2.450 არალეგალია გამოვლენილი და დეპორტირებული. ამით გერმანიის ბიუჯეტს არცერთი ევროცენტით ზიანი არ მისდგომია. როგორ შეიძლება, ასეთი მნიშვნელოვანი აქტის მოქმედება არ იყოს განხილული, როგორც შემაკავებელი და პრევენციის ეფექტის მომხდენი უკანონო მიგრაციის გამოვლენის შემთხვევაში. სხვა რით უნდა დაეცვა ევროკავშირს თავი.





***– უარის თქმა გამოსავალია?***

– თუ უარის თქმას მიიჩნევენ გამოსავლად, ეს იქნება უდიდესი პოლიტიკური შეცდომა საქართველოსთვის ბუქარესტის სამიტზე მაპის მინიჭებაზე უარის თქმის შემდეგ. ასეთი პოლიტიკური აქტი, რომელიც საქართველოს შეუზღუდავს ვიზალიბერალიზაციით სარგებლობას, პირდაპირ კავშირშია შემდგომში საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გადახედვასთან. თუკი ევროინტეგრაცია არის შეუქცევადი პროცესი, რომელსაც ძალიან ხშირად გვახსენებს ჩვენი ხელისუფლება და ნაცმოძრაობა, მაშინ გამოდის, რომ ამ ტიპის გამოვლინებას თავად ევროკავშირი ეწინააღმდეგება. ევროპის მხრიდან ვიზალიბერალიზაციაზე უარის თქმა შეუქცევადად დამაზიანებელი იქნება ქართული რეალობისთვის.

***– გერმანია და საფრანგეთი შეგნებულად ხომ არ გვეუბნებიან უარს და რუსეთის მხარდაჭერის დემონსტრირებას ხომ არ ახდენენ?***

– ქალბატონი მერკელი და გერმანიის პოლიტიკური ისტებლიშმენტი არც უარყოფს იმას, რომ ანგარიშს უწევენ რუსეთის ფაქტორს. ხშირად საერთაშორისო ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილებები სწორედ იმ კონიუნქტურითაა ნაკარნახევი და რუსულ-გერმანულ პრიზმაში გაივლის.

***– ვიზალიბერალიზაციის პროცესის შეფერხება რა შედეგს მოგვცემს?***

– ვიზალიბერალიზაციის პროცესი, როგორც ინდიკატორი საქართველოს საგარეო კურსის შეუქცევადობის პირობისა ევროკავშირის მიმართულებით, არის ლაკმუსის ფურცელი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაში და გამოცდა ჩვენი ხელისუფლებისა და მისი არშემდგარი დიპლომატიური მისიისთვის.

ჩვენ ვერც საერთაშორისო ტრიბუნაზე, ვერც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, ვერც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე, ვერც ნატოში შევძელით ჩვენი ინტერესების დაცვა.

***– ხელისუფლებას რა შეუძლია, თუ ევროპელი ლიდერების ოლანდისა და მერკელის ინტერესში არ არის ჩვენთვის ვიზალიბერალიზაციის პროცესის დადებითად დასრულება?***

– ყველაფერს აქვს თავისი თანმიმდევრობა და ლოგიკა, რომელიც რეალური პოლიტიკიდან უნდა გამომდინარეობდეს და არა კონიუნქტურიდან. რეალური პოლიტიკის ფარგლებში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან პირდაპირი დიალოგის დაწყება (მით უმეტეს, როცა ასეთ დიალოგზე თანხმობა რუსეთის ფედერაციაში არსებობს) არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა პოლიტიკური ფასის განსაზღვრის პროცესში, რასაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ჰქვია.

***– რუსეთთან დიალოგი უნდა ვაწარმოოთ, რომ ევროპა ვიზალიბერალიზაციის მიღებაში დაგვეხმაროს?***

– რეალური პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში, ვიზალიბერალიზაციას მასტიმულირებელი გავლენა უნდა მოეხდინა სეპარა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თორნიკე შარაშენიძე: „სამი კვირაა, სასამართლოში სისულელეებს ვადევნებთ თვალს“

## რატომ ფერხდება ვიზალიბერალიზაცია?

ნათია ხურცილავა

ჯიპას პროფესორი, პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვიზალიბერალიზაციის საკითხზე საუბრობს.

***– ბატონო თორნიკე, როგორც ჩანს, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც ვერ აღწევენ კონსენსუსს, მოგვცენ თუ არა ვიზალიბერალიზაცია. ევროპარლამენტარმა სარიუშ ვოლსკიმ განაცხადა, რომ ოქტომბრამდე ამ საკითხის განხილვა მოსალოდნელი არ არის, თუმცა იქვე განმარტა, რომ ეს არ უკავშირდება არჩევნებს. ამ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს. რეალურად რაზეა დამოკიდებული, მოგვცემენ თუ არა ვიზალიბერალიზაციას?***

– რამდენიმე ფაქტორზეა ეს დამოკიდებული. პირველი ფაქტორი არის ის, რომ ჩვენთვის ვიზალიბერალიზაციას ბლოკავენ ვერ ვიტყვი, მაგრამ ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდებიან გერმანია და საფრანგეთი. ამიტომ უფრო მეტი ინტენსიური მუშაობაა საჭირო. როგორც ჩანს, მეტი სკეპტიკოსია იქ და ნაკლები მსურველი ჩვენი ევროპაში ინტეგრაციის, ვიდრე სხვაგან. რუსეთს ჯერ კიდევ გერმანია ანგარიშს უწევს.

***– რუსეთს უწევენ ანგარიშს?***

– დიახ, ეს ფაქტორიც ალბათ მუშაობს. გერმანია მაინც ფიქრობს, რომ რუსეთი არ გააღიზიანოს ამ ეტაპზე, ეს ერთგვარი გათვლაა მათი მხრიდან. ამიტომ ვამბობ, რომ მათთან უფრო ინტენსიური მუშაობა იყო საჭირო, არა მხოლოდ წარმომადგენლობებში, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაში, ფრანგ და გერმანელ საზოგადოებასთან, რადგან ამ ქვეყნების ლიდერებისთვის მნიშვნელოვანია, როგორია მოსახლეობის პოზიცია, დამოკიდებულება. სამუშაოები იყო, მაგრამ საკმარისი ინტენსივობით არ იყო.

***– კონკრეტულად რა სამუშაოებს გულისხმობთ?***

– მაგალითად, ადგილობრივ პრესაში არ იყო საკმარისი სამუშაოები, არ იყო ლობისტებთან საკმარისი სამუშაოები ჩატარებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. რადგან მთავრობამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები ვიზალიბერალიზაციის პროცესში, ჩათვალა, რომ პრობლემა არ ექნებოდა. მართალია, ჩვენ ტექნიკური სამუშაოები შევასრულეთ, გავუსწარით კიდეც უკრაინასა და მოლდოვას, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ხელისუფლებამ რატომღაც არ გაითვალისწინა, რომ ეს ამავდროულად არის პოლიტიკური საკითხი.

***– რადგან პოლიტიკური საკითხია, შიდა პროცესებიც ახდენს გავლენას?***

– რა თქმა უნდა. ამიტომ მძიმედ მოქმედებს რუსთავი 2-ის პროცესიც და კორცხელის მსგავსი ინციდენტებიც. მხოლოდ ტექნიკური პროცესი რომ იყოს, აქამდე მაპსაც მივიღებდით, ბუნებრივია, ესეც პოლიტიკურ შემადგენელს უკავშირდება. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს პრევენციისთვის. პრევენციაში ვგულისხმობ იმას, რომ საშინაო პოლიტიკაში სისულელეები არ უნდა ჩაიდინონ. სამი კვირაა, სასამართლოში თვალს სისულელეებს ვადევნებთ. მსგავსი ფაქტები გვაზარალებს. სამწუხაროდ, გაჭიანურება უკავშირდება პოლიტიკურ პრობლემებს.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ, უსუფაშვილმა განაცხადა, რომ არც რუსთავი 2-ის საქმეზე, არც არჩევნებზე ვიზალიბერალიზაცია არ არის დამოკიდებული. ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ზალკალიანმა თქვა, რომ არც ერთ შეხვედრაზე შიდა საკითხებზე საუბარი არ ყოფილა.***

– მათ უკეთ იციან, მაგრამ თუ არ ყოფილა, მაშინ შედეგი დადონ. როდესაც შედეგს ვერ აღწევენ, ლოგიკურად მიჩნდება ეჭვი. თუ შიდა პოლიტიკური პროცესები არაფერ შუაშია, არანაირ გავლენას არ ახდენს და ტექნიკური მხარე შესრულებულია, მაშინ იდეალურად გვქონია საქმე, მაშინ დადონ შედეგი.

***– გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება კრიმინალთან დაკავშირებით რამდენად არის ამასთან კავშირში? ქურდობის ფაქტებს რომ აქვს ადგილი, ეს რამდენად არის ხელშემშლელი ფაქტორი?***

– რა თქმა უნდა, აქვს ადგილი ამ ძალიან სამარცხვინო ფაქტებს, მაგრამ ამის შესახებ გერმანიაში მშვენივრად იცოდნენ აქამდეც, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ კატასტროფული ზიანი კონკრეტულად ამ ფაქტების გამო გვქონდეს. თუმცა, ბუნებრივია, გერმანიაში და ესპანეთში რაც ხდება ჩასული ქართველების მხრიდან, სამარცხვინოა.



***– პრემიერ კვირიკაშვილს, რომელსაც რამდენიმე დღის წინ გერმანიის კანცლერთან ჰქონდა სატელეფონო საუბარი, დაგეგმილი აქვს გერმანიაში ვიზიტი. რა მესიჯები უნდა ჩაიტანოს და როგორ უნდა დაარწმუნოს გერმანია, რომ ჩვენ ვიმსახურებთ ვიზალიბერალიზაციას, თუნდაც მაპს?***

– სამწუხაროდ, ასე მარტივად ვერ დაარწმუნებს, ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია. ამას წინ უნდა უძღოდეს სერიოზული მუშაობა გერმანიის საზოგადოებრივ აზრთან. გერმანიის პოლიტიკური ელიტა თუ თვლის, რომ საქართველოს არ მისცემს უვიზო რეჟიმს, კვირიკაშვილის ერთი ვიზიტი ამას ვერ უშველის. შეიძლება დახურულ შეხვედრაზე უთხრან, არ მოგვწონს ის, რაც ხდება კრიტიკული მედიის მიმართებით. თუ უნდათ, საშაროს ყოველთვის გამოძებნიან, ჩვენი მთავრობა ამის შესაძლებლობას აძლევს. საჭიროა დასავლეთის დედაქალაქებში ინტენსიური მუშაობა. ხაზგასმით ვამბობ – დედაქალაქებში. არ არის საკმარისი მხოლოდ ბიუროკრატთა მუშაობა, რომლებიც ბრიუსელში არიან.

***– საფრანგეთსა და გერმანიასთან რა სამუშაოებია ჩასატარებელი, რომ მოვახერხოთ მათი დარწმუნება?***

– მიდგომა არ იცვლება და ეს სერიოზული პრობლემაა. გერმანიაში პროფესიით არადიპლომატი ელჩი გვყავს, როდესაც რუსეთს საუკეთესო პროფესიონალი ჰყავს. ასევე, არის ლობისტობის ფაქტორი. ჩვენ რუსეთს ვერ ვუწევთ კონკურენციას ლობისტობაში. ამ ფონზე ერთადერთი შანსი გვრჩება, საზოგადოებრივ აზრზე ვიმუშაოთ.

***– მიგრაციის საფრთხეებთან დაკავშირებული პრობლემები რამდენად ძლიერი ფაქტორია?***

– ამ მხრივ არ იქნება პრობლემები. ტექნიკურად ქართულმა მხარემ მართლაც შეასრულა ეს ყველაფერი. რეადმისიის ვალდებულება გვაქვს აღებული. თუ გამოაძევებენ ჩვენს მოქალაქეს, ხარჯებს საკუთარ თავზე სახელმწიფო იღებს. თუ ადამიანს უნდა იყაჩაღოს, ის ისედაც იყაჩაღებს, სადაც უნდა იყოს. ევროპაში ვიზალიბერალიზაცია ნამდვილად არ გამოიწვევს კრიმინალების პროცენტული მაჩვენებლის დრამატულ ცვლილებას.

***– თუ ვიზალიბერალიზაცია გადაიდო ოქტომბრისთვის და ზაფხულში არ მოგვცეს, არჩევნებთან რამდენად იქნება კავშირში?***

– ვერ გეტყვით, რადგან ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ეჭვები გაჩნდება. მით უფრო გაძლიერდება და დაბრალდება ნაციონალურ მოძრაობას.

***– ევროპის სახალხო პარტიას ჰქონდა განცხადებები გაკეთებული, რომ არჩევნების პროცესზე მიბმულიყო ვიზალიბერალიზაცია.***

– თუკი ამას ახერხებს ნაციონალური მოძრაობა, მაშინ ამის პრევენციას რატომ არ ახდენს მთავრობა და რატომ არ იკავებს თავს არჩევნებამდე სასამართლო პროცესებისგან, რატომ არ ქმნის იდეალურ საარჩევნო პირობებს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ მიაბას ვიზალიბერალიზაცია არჩევნებს?! მე ამის არ მჯერა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## ანგელა მერკელი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ქალად აღიარეს



ჟურნალმა ფორბსმა მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალები დაასახელა. პირველ ადგილზე გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გავიდა, მეორეზე – აშშ-ს პრეზიდენტობის პრეტენდენტი ჰილარი კლინტონი.

სულ ფორბსის სიაში 100-მდე ქალი დასახელდა. უმრავლესობა მათგანი ამერიკის მოქალაქეა.

## ტერაქტი თურქეთში

სტამბოლის ცენტრში ტერაქტი მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა ამჯერად ბაიაზეთის უბანში ავტობუსის გაჩერებაზე აფეთქდა.

ამ ადგილას მუდამ უამრავი ტურისტი ირევა.

დაიღუპა 7 პოლიციელი და 3 სამოქალაქო პირი. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.



## ვინ მოაწყო სროლა აქტობეში?

ჩვენ უკვე ვწერდით ყაზახეთის ქალაქ აქტობეში მომხდარი სროლის შესახებ, რომლის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

ყაზახეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, აქტობეს ტერაქტის უკან დგას ექსტრემისტული ორგანიზაცია „ყაზახეთის განმათავისუფლებელი არმია."

თავის მხრივ, ინტერნეტში გაჩნდა შეტყობინება, სადაც ხსენებული ორგანიზაცია აღნიშნულ ტერაქტზე პასუხისმგებლობას იღებს.

რადიო „თავისუფლების" ექსპერტები ამას არ იზიარებენ. ისინი თვლიან, რომ გამორიცხული არაა, რომ აქტობეს აქციის უკან რუსული სპეცსამსახურები იდგნენ.



YouTube screen grab

## რუსმა მილიციელმა კოლეგა მოკლა



ივანოვოში (რუსეთი) ადგილობრივმა მილიციელმა თავისი კოლეგა მოკლა. ინციდენტი ერთ-ერთის სახლში მოხდა. გაიშალა სუფრა. რუსული ჩვეულებისამებრ მაგრად გადაჰკრეს. ამის შემდეგ ერთ-ერთმა პოლიციელმა გახუმრება გადაწყვიტა, რევოლვერი იძრო და კოლეგას დაუმიზნა.

რევოლვერი გატენილი აღმოჩნდა. გაისმა სროლა. მილიციელმა სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და იქვე გარდაიცვალა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## პუტინი: „იანუკოვიჩი ჩემი მეგობარია"



რუსეთის გენპროკურატურამ უარი განაცხადა გადაეცა უკრაინისთვის ექს-პრეზიდენტი იანუკოვიჩი, რომელსაც სამშობლოში ბრალი კორუფციაში და ხაზინის ქურდობაში ედება. ვლადიმერ პუტინმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინის ექსპრეზიდენტი მისი პირადი მეგობარია.

– იანუკოვჩი ჩვენ გადავარჩინეთ. უკრაინიდან რომ არ გამოგვეყვანა, ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ, – თქვა პუტინმა.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა ხაზი გაუსვა იმას, რომ იანუკოვიჩის უკრაინისადმი გადაცემა გამორიცხულია.

– ვიქტორ ფიოდოროვიჩი ჩემი მეგობარია. მე მეგობრებს არ ვღალატობ, – აცხადებს პუტინი.

## პოლონეთში ნატოს მასშტაბური სწავლებები დაიწყო



პოლონეთში ნატოს მასშტაბური სამხედრო სწავლებები დაიწყო. მათში 31.000 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. მათ შორის არიან საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, ფინეთისა და შვეციის ჯარისკაცები.

ამ მასშტაბის ნატოს სამხედრო სწავლებები პოლონეთის ტერიტორიაზე ჯერ არ ჩატარებულა.

პოლონეთის პრეზიდენტი ანჟეი დუდა სწავლების მონაწილეებს საგანგებოდ მიესალმა. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა:

– მივესალმები ჩვენი მოკავშირე ნატოს ქვეყნების ოფიცრებსა და ჯარისკაცებს! მივესალმები ნატოს პარტნიორ ქვეყნებს საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, აგრეთვე შვეციისა და ფინეთის ჯარისკაცებს, – თქვა პოლონეთის პრეზიდენტმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ სწავლებების გამო პროტესტი ოფიციალურად განაცხადა. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშჩიკოვსკიმ პასუხად განაცხადა, რომ სწავლებები თავდაცვის ხასიათს ატარებს და არავის წინააღმდეგ არაა მიმართული.

## ვიქტორ კორჩნოი გარდაიცვალა



შვეიცარიაში გარდაიცვალა ლეგენდარული მოჭადრაკე ვიქტორ კორჩნოი. ის თავის დროზე იყო სსრკ-ს ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი. ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში კორჩნოი ანატოლ კარპოვთან დამარცხდა.

ვიქტორ კორჩნოი 1931 წელს ლენინგრადში დაიბადა. შემდგომში თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: ნიჭიერებით არასოდეს გამოვირჩეოდი, სამაგიეროდ, არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე ვიყავიო. კორჩნოის სანუკვარი ოცნება იყო, მუსიკოსი ან მწერალი გამხდარიყო. ეს ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ჭადრაკში მან უდიდეს სიმაღლეებს მიაღწია და მთელს მსოფლიოში სახელი გაითქვა.

1976 წელს კორჩნოიმ, რომელიც საზღვარგარეთ ტურნირში მონაწილეობდა, სსრკ-ში დაბრუნებაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ საბჭოთა ჭადრაკის ფედერაცია მის დისკვალიფიკაციას შეეცადა, რაც ჩაიშალა. კორჩნოის ოჯახს კარგა ხანს სსრკ-დან გამგზავრების უფლებას არ აძლევდნენ. წლების მანძილზე ისინი სუკის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ.

## რონალდ და ნენსი რეიგანების ნივთებს აუქციონზე გამოიტანენ



აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის და მისი მეუღლის ნივთები მათი კალიფორნიული სახლიდან აუქციონზე გაიყიდება. ამ ინფორმაციას კრისტის აუქციონის სახლი ავრცელებს.

ლოტებს შორის იქნება – ავეჯი, ხელოვნების ნიმუშები, საიუველირო ნაკეთობები. ყველა ისინი რეიგანების სახლში ინახებოდა, რომელიც ლოს-ანჯელესში ბელ-ეირის რაიონში მდებარეობს.

ვაჭრობა სექტემბრისთვისაა დანიშნული. დაგეგმილია პირდაპირი და ონლაინ-აუქციონები. საერთო ჯამში 700 ლოტი იქნება გასაყიდად გამოტანილი. კრისტის აუქციონის სახლში 2 მილიონ დოლარზე მეტი შემოსავლის მიღებას ვარაუდობენ.

ყოფილი სახელმწიფო მეთაურის სურვილის თანახმად, შემოსული თანხა პრეზიდენტის ფონდსა და რონალდ რეიგანის სახელობის ინსტიტუტს გადაეცემა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პარიზის ხელისუფლება მიგრანტებს მზარეულებად იწვევს

პარიზი საკუთარი რესტორნების კარს უღებს ლტოლვილებს, რომლებიც კულინარიულ ხელოვნებასთან ნაზიარები არიან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ აქციის ფარგლებში, რომლის მიზანს ევროპელების ლტოლვილთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლა წარმოადგენს, ათი პარიზული რესტორანი 17-დან 21 ივნისის ჩათვლით, სამუშაოზე აიყვანს ლტოლვილებს.

ამ პროგრამის მონაწილეები უკვე ცნობილნი არიან. მათ შორის არიან ლტოლვილები სირიიდან, ინდოეთიდან, კოტ-დ,ივუარიდან, ჩეჩნეთიდან და შრი-ლანკიდან.

აღსანიშნავია, რომ ეს აქცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართება და ლტოლვილთა საერთაშორისო დღეს, 20 ივნისს მიეძღვნება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

# ორი რეკორდსმენის გუნდები ერთ ჯგუფში

**დღეს მესამე ჯგუფის რიგია. 4 გუნდი გაარკვევს მერვედფინალში გამსვლელებს. პოლონეთი და გერმანია შესარჩევ ჯგუფშიც ერთად იყვნენ, ხოლო პოლონეთმა და უკრაინამ ერთად უმასპინძლეს ევროპირველობას.**

## ჯგუფი C

### გერმანია

ასოციაცია დაარსდა 1900 წელს. მეტსახელი ბუნდესნაკრები

გერმანიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეგოლე მიროსლავ კლოზეა (71), მოქმედი ფეხბურთელებიდან კი ლუკაშ პოდოლსკი (48).

ბუნდესნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ლოთარ მათეუსმა (150), ჩაატარა, მოქმედებიდან აქაც პოდოლსკის (126) აქვს საუკეთესო მაჩვენებელი.

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა მხოლოდ ერთხელ ვერ მოახერხა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე მოხვედრა. ეს 1968 წელს მოხდა. სამაგიეროდ, ესპანელებთან ერთად ბებერი კონტინენტის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს და სამჯერ იყო ევროპის ჩემპიონი. 3-ჯერ იყვნენ ევროპის ფინალში, 4-ჯერ მოიგეს მუნდიალი და 4-ჯერ ფინალი წააგეს.


პოლონეთი

ცხადია, სხვებთან შედარებით გერმანელებს უფრო უხვად აქვთ ნათამაშები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. 43 დაპირისპირებიდან, ბუნდესნაკრებმა 23 მოიგო, 10 ფრედ დაასრულა და 10-იც წააგო. ბურთების შეფარდება – 65:45.

მსოფლიო ჩემპიონატებზე გერმანიის ნაკრები არასდროს დარჩენილა პლეი ოფს მიღმა, ხოლო ევროპის ჩემპიონატებზე მსგავსი ფაქტი სამჯერ მოხდა. 1984 და 2004 წლებში გერმანია ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო 2000 წელს ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

**26. 06. 1996**

**ინგლისი-გერმანია 1:1 (5:6პ)**

ნახევარფინალური ჯახი მასპინძლებთან და რევანშის სურვილი 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში განცდილი მარცხისთვის. ანდრეას მიოლერის ზუსტმა პენალტმა ინგლისი ფინალს მიღმა დატოვა.

**22. 06. 1980**

**გერმანია-ბელგია 2:1**

საოცარი ფინალური მატჩი. ბელგიელები დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას მეტოქეს, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ჰორსტ ჰრუბეშმა დუბლი გაიფორმა და გერმანიას მეორე ევროპული ტიტული მოუტანა.

**29.04.1972**

**ინგლისი-გერმანია 1:3**

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩს ინგლისელებთან უწოდებენ დაუმარცხებელი გერმანიის დაბადებას.

იოაჰიმ ლიოვის 23-კაციან შემადგენლობაში ვერ მოხვდა მარკო როისი. ამის მიზეზი მხოლოდ ტრავმაა. ფეხბურთელს კი ნაკრების გარეთ დარჩენა საკუთარ დაბადების დღეს უთხრეს.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ნოიერი (ბაიერნი), ლენო (ლევერკუზენი), ტერ შტეგენი (ბარსელონა, ესპანეთი);

**მცველები:** მუსტაფი (ვალენსია, ესპანეთი), ჰუმელსი, ბოატენგი (ორივე ბაიერნი), ექტორი (კიოლნი), ჰოვედესი (შალკე), რუდიგერი, ანტონიო რუდიგერი (ორივე რომა, იტალია), ჩანი (ლივერპული, ინგლისი);

**ნახევარმცველები:** ხედირა (იუვენტუსი, იტალია), შვაინშტაიგერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), იოზილი (არსენალი, ინგლისი), კროოსი (რეალი, ესპანეთი), ჯოშუა კიმიხი, მიულერი (ორივე ბაიერნი), პოდოლსკი (გალათასარაი, თურქეთი), ვილი (დორტმუნდი), ანდრე შურლე (ვოლფსბურგი);

**თავდამსხმელები:** გომესი (ბეშიქთაში, თურქეთი), ლეროი სანე (შალკე), გიოტცე (ბაიერნი)

**მწვრთნელი:** იოაჰიმ ლიოვი

### უკრაინა

ასოციაცია დაარსდა 1992 წელს. მეტსახელი ლურჯ-ყვითლები

უკრაინული ფეხბურთის ისტორიის საუკეთესო ბომბარდირი ვინ იქნება თუ არა ანდრეი შევჩენკო (48), მოქმედი ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტი ანდრეი იარმოლენკოს (22) აქვს გატანილი.

ყველაზე მეტი მატჩი ანატოლი ტიმოშუკს (141) აქვს ჩატარებული, რომელიც ამ მაჩვენებლის გაზრდას მომავალ ევროპირველობაზეც შეეცდება.

უკრაინელები რეგულარულად გამოდიოდნენ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში და ევროპის ჩემპიონატებსაც ხშირად სტუმრობდნენ, მაგრამ სუვერენული ქვეყნის დროშის ქვეშ მხოლოდ 2012 წელს ითამაშეს და მაშინაც მასპინძლის სტატუსით მოხვდნენ და ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ. ახლა უკრაინელები მეორედ ცდიან ბედს.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

**14.11.2015**

**უკრაინა-სლოვენია 2:0**

ევროშესარჩევის ეტაპის შემდეგ გადათამაშებაში მოხვედრილმა უკრაინამ დამაჯერებლად მოუგო სლოვენიელებს და ამით ერთგვარი რევანში გადაუხადა, იგივე ეტაპზე დამარცხებისთვის.

**11.06.2012 უკრაინა-შვედეთი**

ევრო-2012-ის ჯგუფური ეტაპის მატჩი. ანდრეი შევჩენკომ მატჩში დუბლი შეასრულა. როგორც შემდგომ გამოჩნდა, ეს იყო შევჩენკოს ბოლო გოლები უკრაინის ნაკრებში.

**09.10.1999 რუსეთი-უკრაინა 1:1**

საბჭოეთის დაშლის შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი ამ ქვეყნის გუნდებს შორის. რუსები მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ, მაგრამ შევჩენკოს ჯარიმამ და ფილიმონოვის შეცდომამ რუსებს გარჯა წყალში ჩაუყარა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში, სადაც ერთმანეთს ჰოლანდიისა და სსრკ-ს ნაკრებები შეხვდნენ, საბჭოეთის გუნდში 20 ფეხბურთელიდან 12 კიევის დინამოს წარმომადგენელი იყო.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ანდრეი პიატოვი (შახტარი), დენის ბოიკო (ბეშიქთაში, თურქეთი), ნიკიტა შევჩენკო (ზორია);

**მცველები:** ევგენი ხაჩერიდი (დინამო), ალექსანდრ კუჩერი, იაროსლავ რაკიცკი, ვიაჩესლავ შევჩუკი, ბოგდან ბუტკო (ყველა შახტარი), არტიომ ფედეცკი (დნიპრო);

**ნახევარმცველები:** ანდრეი იარმოლენკო, სერგეი სიდორჩუკი, დენის გარმაში, სერგეი რიბალკა (ყველა დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი (ქაირათი, ყაზახეთი), ტარას სტეპანენკო, ვიქტორ კოვალენკო (ორივე შახტარი), რუსლან როტანი (დნიპრო), ალექსანდრ კარავაევი (ზორია), ევგენი კონოპლიანკა (სევილია, ესპანეთი), ალექსანდრ ზინჩენკო (უფა, რუსეთი);

**თავდამსხმელები:** ფილიპ ბუდკოვსკი (ზორია), რომან ზოზულია (დნიპრო), ევგენი სელეზნიოვი (შახტარი)


გერმანია


ჩრდ. ირლანდია

### პოლონეთი

ასოციაცია დაარსდა 1919 წელს. მეტსახელი თეთრ-წითლები

პოლონელთა რეკორდსმენი გატანილი გოლებით ვლოდიმეჟ ლიუბანსკია (48), მოქმედი ფეხბურთელებიდან – რობერტ ლევანდოვსკი (34).

ჩატარებული მატჩებით მიხალ ჟევლაკოვი (102) ლიდერობს, საფრანგეთში წამსვლელთაგან კი ყველაზე მეტი იაკუბ ბლაჩიკოვსკის (75) აქვს ჩატარებული.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პოლონეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველად 2008 წელს მოხვდა. გასაკვირი იმიტომ, რომ თეთრ-წითლებს წარსულშიც კარგი გუნდი ჰყავდათ და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებიც არიან. ერთია, პოლონელებმა ევროპირველობაზე ჯერ ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლიეს.

სანამ ევროპის პირველობაზე მოხვდებოდა, პოლონეთის ნაკრები 7-ჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონატზე. პირველად ევროპაზე ავსტრიაში ვერ ივარგეს და ერთი მატჩიც ვერ მოიგეს. 4 წლის შემდეგ მასპინძლის სტატუსით მოხვდნენ და ისევ კრახი.

ვარსკვლავური პერიოდი პოლონელებს 70-80-იან წლებში ჰქონდათ, როდესაც ბრწყინავდნენ გჟეგოჟ ლიატო და ზბიგნევ ბონეკი... ჰყავდათ კიდევ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომლებზეც ხელს ნებისმიერი ნაკრები მოაწერდა. ახლა რობერტ ლევანდოვსკი ჰყავთ, რომელმაც ევროშესარჩევში 13 გოლი გაიტანა და რეკორდი გაიმეორა.


უკრაინა

სულ 6 მატჩი გამართეს ფინალურ სტადიაზე და მოგების გარეშე. მხოლოდ 3 ფრე და ამდენივე წაგება აქვთ. ბურთების შეფარდება – 3:7.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

**11.10.2014**

**პოლონეთი-გერმანია 2:0**

არაკადიუშ მილიკისა და რობერტ ლევანდოვსკის გოლებით, პოლონელებმა მე-19 მატჩში პირველად მოუგეს გერმანიას.

**08.06.2012**

**პოლონეთი-საბერძნეთი 1:1**

რობერტ ლევანდოვსკიმ მატჩში ანგარიში გახსნა და პოლონელ გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა. რამდენიმე ათეული წუთი მთელი პოლონეთი მე-9 ცაზე იყო, მაგრამ...

**12.06.2008**

**ავსტრია-პოლონეთი 1:1**

ნატურალიზირებულმა ბრაზილიელმა როჯერ გერეირომ პირველად ითამაშა პოლონელთა შემადგენლობაში და მის მიერ გატანილმა პენალტმა პირველი ქულა მოუტანა ნაკრებს ფინალურ სტადიაზე.

საინტერესოა, რომ პოლონელთა მეტოქე შესარჩევი ეტაპების დროს ინგლისი 7-ჯერ იყო. ეს ფაქტი იმიტომ ვახსენეთ, რომ პოლონელებს ინგლისელებისთვის ჯერ არ მოუგიათ, ხოლო სტუმრად ჩატარებული 7-ვე მატჩი წააგეს.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** არტურ ბორუცი (ბორნმუთი, ინგლისი), ვოიცეხ შჩესნი (რომა, იტალია), ლუკაშ ფაბიანსკი (სუონსი, ინგლისი);

**მცველები:** ტიაგო ჩიონეკი (მოდენა, იტალია), კამილ გლიკი (ტორინო, იტალია), არტურ ენჯეიჩიკი (კრასნოდარი, რუსეთი), ლუკაშ პიშჩეკი (დორტმუნდი, გერმანია), მიხალ პაზდანი (ლეგია),ბარტოშ სალამონი (კალიარი, იტალია), იაკუბ ვავჟინიაკი (ლეხია);

**ნახევარმცველები:** იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (ფიორენტინა, იტალია), ტომაშ იოდლოვეიცი (ლეგია), ბარტოშ კაპუსტკა (კრაკოვია), გჟეგოჟ კრიშოვიაკი (სევილია, ესპანეთი), კაროლ ლინეტი (ლეხი), კშიშტოფ მანჩინსკი (ვისლა), სლავომირ პეშკო (კიოლნი, გერმანია), ფილიპ სტარჟინსკი (ზაგლებიე), პიოტრ ზიელინსკი (ემპოლი, იტალია);

**თავდამსხმელები:** რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი, გერმანია), არკადიუშ მილიკი (აიაქსი, ჰოლანდია), მარიუშ სტეპინსკი (ნიურნბერგი, გერმანია), კამილ გროშიჩკი (რენი, საფრანგეთი)

**მთ. მწვრთნელი:** ადამ ნავალკა

### ჩრდ. ირლანდია

ასოციაცია დაარსდა 1880 წელს. მეტსახელი ჩრდილოირლანდიური რკინა

საუკეთესო ბომბარდირი დევიდ ჰილია (36), მოქმედი – კაილ ლაფერტი (16).

ჩატარებული მატჩებით რეკორდსმენი პატ ჯენინგსია (119), მოქმედი ფეხბურთელებიდან – არონ ჰიუზი (93).

ისტორიაში რამდენიმე დასამახსოვრებელი მოგების მიუხედავად, ჩრდილო ირლანდიელები ვერასდროს მოხვდნენ ფინალურ ეტაპზე. ყველაზე ახლოს 1984 წელს იყვნენ, მაგრამ ბოლოს არ გაუმართლათ. საფრანგეთში მათი დებიუტი შედგება.

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე. 1958 წელს მეოთხედფინალშიც კი გააღწია. თუმცა, ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი დევის ჰილი და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა ჯორჯ ბესტი ისე წავიდნენ ფეხბურთიდან, რომ დიდ ტურნირზე თამაში ვერ მოახერხეს.

სამაგიეროდ, მარტინ ონილის შეგირდებმა ნაკრების ისტორია დაწერეს და საფრანგეთში მინიმუმ 3 მატჩს ჩაატარებენ.

ზემოთ ლევანდოვსკის რეკორდი ვახსენეთ და 13 გოლით სწორედ ჰილთან ერთად იყოფს. ჰილმა ეს რეკორდი 2008 წლის შესარჩევ ეტაპზე დაამყარა. ის შესარჩევი მთლიანად გუნდმა კარგად ჩაატარა და რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩით გულშემატკივართა გული მოიგო, მაგრამ საბოლოოდ ესპანეთსა და შვედეთს ჩამორჩა და მხოლოდ მე-3 ადგილით დაკმაყოფილდა.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

**08.10.2015**

**ჩრ.ირლანდია-საბერძნეთი 3:1**

ამ მოგებით გაინაღდეს მარტინ ონილის შეგირდებმა ევრო-2016-ზე თამაში. დუბლი სტივენ დევისმა გაიფორმა.

**06.09.2006**

**ჩრ.ირლანდია-ესპანეთი 3:2**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე დევიდ ჰილის ჰეთ-ტრიკით დაამარცხეს ესპანეთის ნაკრები, რომელიც შემდეგ ბებერი კონტინენტის საუკეთესო გუნდი გახდა.

**16.11.1983**

**გერმანია-ჩრ.ირლანდია 0:1**

1984 წლის შესარჩევ ეტაპზე ნორმან უაიტსაიდის გოლით სტუმრად გერმანიას სძლიეს. ამ შესარჩევში გერმანელებს საშინაო მატჩიც მოუგეს, მაგრამ შემდეგ ბურთების სხვაობით წინ გაუშვეს ორჯერ დამარცხებული მეტოქე.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ალან მანუსი (სტ. ჯონსტონი, შოტლანდია), მაიკლ მაკგოვერნი (აკადემიკალი), როი კეროლი (ნოთსი, ინგლისი);

**მცველები:** კრეიგ კეტკარტი (უოტფორდი, ინგლისი), ჯონი ევანსი, გარეთ მაკაული (ორივე ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ლიუკ მაკალოქსი (დონკასტერი, ინგლისი), კონორ მაკლაფლინი (ფლიტვუდი, ინგლისი), ლი ჰოდსონი (მილტონი, ინგლისი), არონ ჰიუიზი (მელბურნ სიტი, ავსტრალია), პედი მაკნეირი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), კრის ბეირდი (დერბი, ინგლისი);

**ნახევარმცველები:** სტივენ დევისი (საუთჰემპტონი, ინგლისი), ოლივერ ნორვუდი (რედინგი, ინგლისი), კორი ევანს (ბლექბერნი, ინგლისი), შეინ ფერგიუსონი (მილუოლი, ინგლისი), სტიუარტ დალასი (ლიდსი, ინგლისი), ნაიალ მაკგინი (აბერდინი, შოტლანდია), ჯეიმი უორდი (ნოტინგემი, ინგლისი);

**თავდამსხმელები:** კაილ ლაფერტი (ნორვიჩი, ინგლისი), კონორ ვაშინგტონი (ქპრ, ინგლისი), ჯოშ მაჯენისი (კილმარნოკი, შოტლანდია), უილ გრიგი (უიგანი, ინგლისი).

**12 ივნისი:** 18:00 პოლონეთი-ჩრ.ირლანდია;

**12 ივნისი:** 21:00 გერმანია-უკრაინა;

**16 ივნისი:** 18:00 უკრაინა-ჩრ.ირლანდია;

**16 ივნისი:** 21:00 გერმანია-პოლონეთი;

**21 ივნისი:** 18:00 უკრაინა-პოლონეთი;

**21 ივნისი:** 18:00 ჩრ.ირლანდია-გერმანია.

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის განკურნება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ფილმი „რამაზ ჩხიკვაძე“ კინოთეატრებში გამოდის



ლეგენდარული ქართველი მსახიობის, რამაზ ჩხიკვაძის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმი კინოთეატრებში გამოდის. ხელოვანი 83 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 5 წლის წინ გარდაიცვალა. მისი სახელის უკვდავსაყოფად, რუსთაველის თეატრის წინ გახსნილია რამაზ ჩხიკვაძის სახელობითი ვარსკვლავი, 9 აპრილის ბაღში დაიდგა აზდაკის ძეგლი, რომლის ავტორიც ზურაბ წერეთელია, მისი საცხოვრებელი სახლის კედელზე გაიხსნა მემორიალური დაფა, ხოლო ქუჩას, სადაც მსახიობი ცხოვრობდა, რამაზ ჩხიკვაძის სახელი ეწოდა.

„რამაზ ჩხიკვაძე“ – ასეთია ფილმის სახელწოდება, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მზადდებოდა. ის მსახიობის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს. მასში გაერთიანებულია რამაზ ჩხიკვაძის მიერ შესრულებული თეატრალური და კინოროლები. მსახიობს ფილმში კოლეგები და მეგობრები იხსენებენ.

დოკუმენტური ფილმის რეჟისორი ალექსანდრე რეხვიაშვილია და მისი ნახვა კინოთეატრებში 9 ივნისიდან იქნება შესაძლებელი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ბელგიის ზოოპარკში პანდა დედა გახდა



დიდი პანდა ჰაო ჰაო, რომელიც ბელგიაში ზოოპარკსა და ბოტანიკურ ბაღ „პაირი დაიზაში“ ბინადრობს, დედა გახდა. ამ ინფორმაციას „პაირი დაიზა“ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

რომელი სქესის დაიბადა ბამბუკის დათვის ბელი და ასევე სხვა ინფორმაციები, ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა ზოოპარკის თანამშრომლებმა დედა პანდას და მისი ნაშიერის რამდენიმე ფოტოსურათი უკვე გამოაქვეყნეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰაო ჰაო ხელოვნურად იქნა განაყოფიერებული. დედა დათვი და კიდევ ერთი პანდა, სახელად სინხუეი, ბელგიაში 2014 წლის თებერვალში ჩაიყვანეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განო მელითაურს ფსიქოლოგიურ ტერორს უწყობენ



მსახიობ კოტე თოლორდავას მეუღლე, განო მელითაური სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს და მიმართავს ყველას, შეწყვიტონ მასთან უცნაური ზარების განხორციელება.

**განო მელითაური:**

– ყველა, ვინც კოტე თოლორდავაზე, რომელიც მთელმა საქართველომ დაიტირა, მირეკავს როგორც ცოცხალზე, მიყვება, როგორ დაინახა ქუჩაში, ან რომ მასთან საუბარი უნდა და სასწრაფოდ დავალაპარაკო, რომ ონლაინ კრედიტი ჰქონდა და მე ვმალავ და არ ვალაპარაკებ, რომ ჰქონდა ხილვა და ნამდვილად ცოცხალია, ყველა, როგორც ერთი, ხართ არაადამიანები!!!!

მეგობრებმა განო მელითაურს ურჩიეს შესაბამის სტრუქტურებს მიმართოს, რადგან ფსიქოლოგიური ტერორი დასჯადია.

# თამო ვაშალომიძე ავარიაში მოყვა



მოდელი თამო ვაშალომიძე ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. მისი კარგიც და ცუდიც ფართო საზოგადოებას ერთნაირი ინტერესით აინტერესებს. იმიჯშეცვლილი მოდელი აქტიურად მუშაობს, თუმცა ხიფათებიც მრავლად აქვს.

რამდენიმე დღის წინ მოდელი ავარიაში მოყვა. ის მანქანით მეგობართან, ნიკა ჭავჭავაძესთან ერთად მგზავრობდა, როდესაც გომბორის გზაზე ავარიაში მოყვნენ.

ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი მანქანის ღვედის გაწყვეტა გახდა. არც თამო და არც ნიკა არ დაშავებულან.

ამ შემთხვევის შემდეგ მანქანა სპეციალისტებმა შეაკეთეს, მაგრამ მეგობრებს ავტოსაგზაო შემთხვევა მეორე დღესაც შეემთხვათ. ამჯერად მიზეზი მანქანის ძრავზე გაჩენილი ხანძარი გახდა.

მეგობრები მეორე ავარიასაც მშვიდობით გადაურჩნენ და არ დაშავებულან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ლიტვაში ჩვილების რბოლა გაიმართა



ჩვილების ტრადიციული რბოლა გაიმართა ლიტვაში და ის გასაღებები პატარა მოყვარულმა კამილის დამბრაუსკასმა მოიგო. ხუთმეტრიანი დისტანციის დასაძლევად 10 თვის ბავშვს 11 წამი დასჭირდა.

შეჯიბრში 25-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. იმისთვის, რათა მათ ფინიშის ხაზის გადაკვეთაში დახმარებოდნენ, მათი დედები სხვადასხვა ნივთებს იყენებდნენ, მაგალითად, ბავშვის ყურადღების მიპყრობას დისტანციური მართვის პულტით, მობილური ტელეფონით, რძის ბოთლით, საჰაერო ბუშტით, სათამაშოებით ცდილობდნენ.

– ჩვენ სახლში ბევრს ვვარჯიშობდით, ვეძებდით ისეთ საგანს, რომელიც ყველაზე მეტად მიიქცევდა ბავშვის ყურადღებას და გადავწყვიტეთ გასაღებების ასხმა გამოგვეყენებინა, – განაცხადა გამარჯვებულის დედამ.

ლიტვაში ჩვილების რბოლა მე-17-ედ ჩატარდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# უნგრეთში მესაფლავეთა ჩემპიონატი გაიმართა

უნგრეთის ქალაქ დებრეცენის საზოგადოებრივ სასაფლაოზე მესაფლავეთა ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრში 18 გუნდი მონაწილეობდა და თითოეული მათგანი ორი წევრისგან შედგებოდა.

კონკურსანტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არა მხოლოდ სისწრაფეში, არამედ ფასდებოდა მათ მიერ გაკეთებული საფლავის გორაკის სილამაზეც.

შეჯიბრის ორგანიზატორთა თქმით, მათ იმედი აქვთ, რომ ამ ჩემპიონატის წყალობით, მესაფლავეების მიმართ პატივისცემა გაიზრდება და ამ საქმიანობით უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება.

ჩემპიონატი კი ადგილობრივი გუნდის გამარჯვებით დასრულდა, რომელსაც დავალების შესასრულებლად ნახევარ საათზე ნაკლები დრო დასჭირდა. ახლა უკვე მათ საერთაშორისო ტურნირში მოუწევთ გამოსვლა, სადაც მათი კონკურენტები პოლონელი, სლოვაკი და ჩეხი მესაფლავეები იქნებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოს საგარეო კურსი შეიძლება შეიცვალოს“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ტისტულ რეგიონებზე, რომ იქ მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეებისთვის მიმზიდველი ყოფილიყო ევროპასთან თავისუფალი მიმოსვლის პერსპექტივა. ამას ხელი უნდა შეეწყო ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომი პროცესისთვის.

ევროპა ანგარიშს უწევს რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს და უარს გვეუბნება ასეთი პროცესის წარმართვაზე, რაც კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ პოლიტიკური დიალოგი რუსეთთან აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ. თანაბარი პირობებით უნდა ვახერხებდეთ კომუნიკაციის დამყარებას როგორც ევროკავშირთან, ისე რუსეთთან. სხვანაირად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ვერ გადაწყდება.

***– რუსეთს ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარების უკან წაღება და დათმობა რომ არ უნდა?***

– ცალმხრივი აღიარების პროცესი კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციის პროცესის საფუძველი აქამდეც შეიძლება გამხდარიყო. ყირიმის საკითხი ერთ თვეში დასრულდა. ის შევიდა რუსეთის ფედერაციაში. პოლიტიკურ რუკაზეც რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია და ამის გამო კითხვის ნიშნებსაც არავინ სვამს დასავლეთევროპული სახელმწიფოების ლიდერებს შორის.

***– რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხი სავაჭრო თემად დატოვა?***

– რა თქმა უნდა. ეს ყოველ ნაბიჯზე ჩანს. თავად რუსეთს აქვს დიალოგის ხელი გამოწვდილი, რომელიც პასუხგაუცემელი დარჩა როგორც პრეზიდენტის, ასევე პრემიერ-მინისტრის მხრიდან. თუ ევროკავშირი საბოლოოდ უარს იტყვის ვიზალიბერალიზაციაზე, ეს დასავლური კურსის სრული კრახი იქნება.

***– შეიძლება ეს გახდეს კურსის გადახედვის მიზეზი?***

– რა თქმა უნდა. ვიზალიბერალიზაციაზე უარის თქმა ქართველ საზოგადოებას ღრმა ნიჰილიზმში ჩააგდებს. ასეთ შემთხვევაში ალტერნატიული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების საკითხი დღის წესრიგში ბუნებრივად დადგება.

***– რა არის ალტერნატივა?***

– აქტიური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან.

***– ეს როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის ფონზე? თუ ტერიტორიებს არ დააბრუნებს, რუსეთთან არანაირი ურთიერთობის აქტივიზაცია არ შეიძლება.***

– პირველ რიგში მოლაპარაკების მაგიდას უნდა მივუსხდეთ და ყველაფერი დეტალებში გავარკვიოთ. ამის შემდეგ შეიძლება საუბარი იმაზე, რა ფასის გადახდა უწევს საქართველოს და რა ფასის გადახდისთვის არის მზად რუსეთის ფედერაცია.

# ასტროპროგნოზი
## 8 ივნისისთვის



**ვერძი** – შორს გამგზავრება სასურველი არ არის. იოლად ნურავის მიენდობით, თორემ შესაძლოა მოტყუებული დარჩეთ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შესაფერისი პერიოდია. წარმატების მისაღწევად თქვენთვის დამახასიათებელი პრინციპულობა გამოიყენეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დროულად მიმართეთ ექიმს. სპორტი და ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** – საყიდლებზე წასასვლელად კარგი დროა. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. ფულს იოლად ნუ გაფლანგავთ. **ლომი** – თუ დაგჭირდათ, მეგობრები და ახლო ნათესავები დაგეხმარებიან. სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. ერიდეთ შორეულ მგზავრობას. **ქალწული** – გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობაში. შესაფერისი პერიოდია რომანტიკული შეხვედრებისათვის, ასევე ოჯახის შესაქმნელად. **სასწორი** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმე სხვა დროისათვის გადადეთ. ახლა დროა, საკუთარ თავზეც იზრუნოთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **მორიელი** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. მათთან მეტი ტაქტისა და თავშეკავების გამოვლენაა საჭირო. ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სფეროში წარმატებას ელოდეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საღამო ახლობლების წრეში გაატარეთ. **თხის რქა** – პლანეტები გმფარველობენ. ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ. მცირედი დაბრკოლებები ნუ შეგაშინებთ. მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ სტაბილურია. **მერწყული** – მშვენიერი პერიოდია საქმიანი შეხვედრებისათვის. იყავით კომუნიკაბელური და გულწრფელი. შინაურებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **თევზები** – ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, ასევე სპორტდარბაზში ვარჯიში სასარგებლო იქნება. თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ასეთი განტვირთვა სასიკეთოდ წაადგება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 2. ძმარმჟავას მარილი; 3. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 4. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 5. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 10. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 11. საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიის „ვიტესი“-ს ფეხბურთელი; 12. ჭაბურღილიდან წყლის, ნავთობის საქაჩი პნევმატური მოწყობილობა; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ჭაობში ბინადარი სისხლისმწოველი ჭია; 20. ყავის მოსადუღებელი, სახელურიანი სპილენძის ჭურჭელი.

**თარაზულად**: 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 8. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 9. წყლის რაოდენობა, რომელსაც იძლევა წყარო დროის ერთეულში; 13. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. უდაბნო აფრიკაში; 18. ქართველი მხატვარი; 19. კუთხე საქართველოში; 21. მაღალყელიანი ტყავის ფეხსაცმელი; 22. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24, მითოლოგიური „მარადიული ურია“.

***შეადგინა თ.კოპალეიშვილმა***




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სოჭი; 2. ობი; 3. დეფინიცია; 4. ასაპი; 5. პალანგა; 8. პუფი; 9. ნიუანსი; 10. ჰარისონი; 12. თმოგვი; 13. შარი; 15. სმოგი.

**თარაზულად:** 1. სორენტო; 6. დეპრესია; 7. ჭუპრი; 10. ჰაიტი; 11. იფქლი; 13. შრატი; 14. ბასრა; 16. გეთი; 17. აპოკოპე; 18. ოსტიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პლანტაჟი; 2. ისტვუდი; 3. ხირსა; 4. კოფეინი; 5. რუსტიკა; 10. შორაპანი; 11. ქსენოფობია; 12. სტაიერი; 15. ინდონეზია; 16. ალონსო; 17. წირქოლი; 20. ტონგა.

**თარაზულად:** 6. ალექსანდრია; 7. გოლეული; 8. აჯამეთი; 9. ნაბადი; 13. ხაჭო; 14. ესთეტი; 18. დივიდენდი; 19. ჰიუგო; 21. ბორტი; 22. კოვბოი; 23. ვირსალაძე; 24. კვარიათი.

# დავით დეფი: „ჯერ არაფერია დამთავრებული, მთავარი წინაა!“




პოეტი და რომანისტი დავით დეფი თბილისის მაღაზიებში რუსული სიმღერებისა და ტელევიზიების პოპულარიზაციაზე წუხს და ერთ შემთხვევას იხსენებს, რომელიც რამდენიმე დღის წინ შეემთხვა.

**დავით დეფი:**

– ამას წინათ მაღაზიებში რაღაცას ვეძებდი. თბილისის დაახლოებით ათ მაღაზიაში შევედი. ათიდან ექვს თუ შვიდ მაღაზიაში მთელ ხმაზე რუსული ნაგავი ჰქონდათ ჩართული. ვისაც ტელევიზორი ედგა, მათთან ოერტეს ან ერტეერს აჩვენებდა და ზოგ მაღაზიაში საერთოდ მღეროდნენ რუსულ ნაგავს. სიცილ-კისკისით, ეშხით, დიდი სიხარულით მღეროდნენ. ერთი ეს გამოთიშე-მეთქი, ვუთხარი მოლარეს. ამომხედა და ჩაუწია, რა იყოო? კი არ ჩაუწიო, გამოთიშე-მეთქი. უფრო დაუწია, მაგრამ არ გამორთო. ეს სახელი და გვარი, გიგა ოთხოზორია რამეს გეუბნება-მეთქი? წამით დაფიქრდა და არაო, არაფერს მეუბნება, ვინააო.

გამაცია. ოდნავ დავიბენი კიდეც და ყელშიც სიმწარე ვიგრძენი. მასთან ახლოს მივიწიე და ხმადაბლა ვუთხარი: ვინაა და ის, ვინც ამ წამს კიდევ ერთხელ მოკალი-მეთქი.

რითი მოვკალი, რეებს მაბრალებო. გამორთო და ადგა. რითი მოკალი და შენი უტიფრობით, შენი უმეცრებით, შენი შეუგნებლობით, გამყიდველობით, უსინდისობით-მეთქი.

ვინც მაღაზიაში იდგა, ყველამ გამომხედა. ხმა არავის ამოუღია. მას კი გაეღიმა, თავი გააქნია და დინამიკებს ისევ აუწია. უფრო მეტად აუწია, ვიდრე მანამდე ჰქონდა.

იქიდან გამოსულს, ისევ ის სიმწარე მაწვებოდა და მარცხის შეგრძნებაც მახრჩობდა, სანამ მაღაზიიდან ერთი არ წამომეწია, სახელით მომართა და მითხრა, შეიძლება ხელი ჩამოგართვაო. მაღაზიიდან მეორეც გამოვიდა და იმანაც ხელი ჩამომართვა. მოვეშვი, ამოვისუნთქე და ორივეს ჩემდაუნებურად ვუთხარი: ჯერ არაფერია დამთავრებული, მთავარი წინაა-მეთქი. ჰო ეგრეა, მითხრა ერთ-ერთმა, მართალი ხარ, მთავარი წინააო. სახეები უნათოდათ და თვალებში მიყურებდნენ.

სახლისკენ მიმავალს მთელი გზა მეღიმებოდა.

# ვახტანგ მაჭავარიანი: „ოპერის თეატრში ვერ შევედი“

მსოფლიოში აღიარებული ქართველი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი ოპერის თეატრში არ შეუშვეს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კიწურაშვილმა მაესტრო შეხვედრაზე მიიწვია, თუმცა მოსაცდელში მისულ მაჭავარიანს მოახსენეს, რომ შეხვედრა არ შედგებოდა და მოსაცდელიდანვე უკან გააბრუნეს.

**ვახტანგ მაჭავარიანი:**

– მოლაპარაკება შედგა თბილისის ოპერის თეატრის ხელმძღვანელთან, რომ კონცერტს ჩავატარებდი. ამაზე ჯერ თბილისში, შემდგომ კი ელექტრონული ფოსტით მოვილაპარაკეთ, პროგრამაც გავუგზავნე. საქართველოში წამოსვლის წინ კი მივიღე შეტყობინება, რომ კონცერტი არ შედგებოდა.




***– რა გახდა ამის მიზეზი?***

– მიზეზი არ დაუსახელებიათ. როგორც მითხრეს, სექტემბერში განიხილავენ, როდის იქნება შესაძლებელი ჩემი მოწვევა. თუმცა, მე ახლა განსაკუთრებულად მინდოდა ფრანგული მუსიკის კონცერტის გამართვა. გადავწყვიტე, კონცერტი საფრანგეთისთვის იმ საშინელი ტერაქტის გამო მიმეძღვნა, რომელთა მსხვერპლებშიც ჩემი ფრანგი მეგობრის მეუღლეც აღმოჩნდა.

ამ გაუგებრობის შემდეგ თეატრიდან არავის დაურეკავს. მიკვირს, რომ ეთიკასა და ზრდილობას მოკლებული პიროვნება ესოდენ მნიშვნელოვან თეატრს ხელმძღვანელობს.

***– თუ სექტემბერში გამოვიდნენ კონტაქტზე?***

– იმედი მაქვს, რომ სექტემბერში აღარ მომიწევს ბატონ დავით კიწურაშვილთან თანამშრომლობა და ოპერის თეატრის ეთიკურ ხელმძღვანელთან მექნება ურთიერთობა.

# ქეთი დოლიძე კულტურის მინისტრს: „იქნებ გვასესხოთ ფული?“

კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე კულტურის სამინისტროს აკრიტიკებს და მინისტრს მოუწოდებს, ედინბურგის ფესტივალზე გასამგზავრებლად 350.000-იანი სახელფასო ფონდიდან ფული ასესხოს.

**ქეთი დოლიძე:**

– ახლა რა არის უბედურება? როდესაც ჩვენ სპექტაკლზე „ტრამვაი სურვილი“ ედინბურგის ფესტივალზე უკვე ერთი თვეა ბილეთები იყიდება, რეკლამა დევს ყველგან, ჩვენ კი კულტურის მინისტრი „გენიალურ“ იდეას გვთავაზობს: წავართვათ ფესტივალ „საჩუქარს“ ფული და ასე წავიდეთ ედინბურგში!!!

ასეთი რამ გაგიგიათ? ეს ხომ ავტომატურად ნიშნავს ფესტივალის ჩაშლას? დავხუროთ? და თურმე, ეს „ბრძნული“ გადაწყვეტილება ჩვენი ხათრით მიიღო!!!! მაგრამ მთავარია, რომ რობი უილიამსმა „დაგვაჩეკინა!“ არც ფესტივალებმა, არც ჩვენი თეატრის წარმატებებმა უცხოეთში, არც სვანეთმა, არც ხევსურეთმა, არც სუხიშვილებმა თუ რუსთავმა და ერისიონმა, ან ქართულმა გალობამ!!! არა, მხოლოდ ახლა გავბრწყინდით!

ბატონო მინისტრო, იქნებ იმ 350.000-იანი სახელფასო ფონდიდან გვასესხოთ ეგ ფული, თქვენი 12 თანამშრომელი რომ იღებს თქვენი დაარსებულ-გაცოცხლებული ფონდიდან??? აა, რა პასუხი გავცე ან



ედინბურგის ფესტივალს ან „საჩუქარზე“ მოწვეულ სტუმრებს, 2 წლით ადრე რომ დაგეგმეს თუმანიშვილის ფესტივალზე ჩამოსვლა? თქვენ ხომ მენეჯმენტის ერთადერთი „მამები“ ხართ ამ ქვეყანაში???

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი პატიმრებისთვის სპექტაკლს ითამაშებს



8 ივნისს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივითა და ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მხარდაჭერით, ქალთა მე-5 პენიტენციალურ დაწესებულებაში გაიმართება სპექტაკლის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ სპეციალური ჩვენება.

სპექტაკლი რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა გურამ დოჩანაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით დადგა.

სპექტაკლის ავტორთა სურვილია, რაც შეიძლება მრავლად იყვნენ ქვეყნად კაცები, რომელთაც ძლიერ უყვართ ლიტერატურა. სპექტაკლში მონაწილეობენ გიორგი კაჭახიძე, ვახტანგ ნოზაძე, ლიკა შუკაკიძე, ეკატერინე თვაური, გიორგი შავგულიძე, გიორგი ჯიქურიძე და ზურაბ ცინცქილაძე.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მოზარდ მაყურებელთა თეატრი მსჯავრდებულებისთვის სპექტაკლს თამაშობს. სამი წლის წინ ანალოგიური აქციით მოზარდ მაყურებელთა თეატრი ავჭალის არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებას სტუმრობდა სპექტაკლით „დეჟა ვიუ“, რომელშიც ნინო ლეჟავა და კოტე თოლორდავა მონაწილეობდნენ.

# სოფო ნიჟარაძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ

მომღერალ სოფო ნიჟარაძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ, „იქს ფაქტორის“ მესამე სეზონის მესამე ლაივ შოუ ექსცესით დასრულდა. პირდაპირი ეთერის დასრულების შემდეგ, სცენაზე უცხო მამაკაცი ავიდა და სოფო ნიჟარაძეს მუშტი დაარტყა.



დაძაბულობის განმუხტვა დაცვის თანამშრომლებმა სცადეს და მამაკაცი გაიყვანეს, თუმცა მან გაქცევა შეძლო.

როგორც პროექტის ერთ-ერთმა მენტორმა გიორგი გაბუნიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა:

– როდესაც ხმაური ატყდა, სწორედ იმ დროს გამოვიხედე და დავინახე, რომ სოფო იდგა, თავზე ედო ხელი, ტიროდა და ამბობდა, ცუდად ვარო.

ფილარმონიაში სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს. სოფო ნიჟარაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს. სასწრაფოს გამოძახება ფილარმონიაში ორჯერ გახდა საჭირო. სოფოს ინციდენტამდე თავი შეუძლოდ იგრძნო ერთ-ერთმა კონკურსანტმა ცირა კობიაშვილმა და მას ექიმების დახმარება დასჭირდა.

– ფილარმონიაში სასწრაფოა გამოძახებული, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, მოახერხებს თუ არა დღეს ცირა გამოსვლას, – ასეთი განცხადება გაავრცელა იქს ფაქტორის ოფიციალურმა გვერდმა.

ექიმების დროულმა ჩარევამ ცირას მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალა. 19 წლის კონკურსანტმა არა თუ სცენაზე გამოსვლა და სიმღერა, არამედ პროექტის ლიდერობაც შეძლო. მან ხმათა უმრავლესობით პირველი ადგილი დაიკავა.

# ბიჭოლამ 31 კილოგრამი დაიკლო



ქართველმა დიზაინერმა ბიჭოლამ, რომელიც წლებია საქართველოდან წავიდა და უკრაინაში მოღვაწეობს, 31 კილოგრამი დაიკლო. ბალიშების კოლექციით გაპოპულარულებულმა დიზაინერმა ამ წონის დაგდება რეგულარული ვარჯიშით და სწორი კვებით შეძლო.

დიზაინერმა ინტერნეტში ფოტოები წონის დაკლებამდე და წონის დაკლების შემდეგ განათავსა და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მისი წონის დაგდებაში თუნდაც მცირედი



მონაწილეობა მიიღო.

**ბიჭოლა:**

– ერთი წელია, რაც მივსდევ ჯანსაღი ცხოვრების სტილს. 21-22 წლის ასაკში 106 კილოგრამს ვიწონიდი, ახლა 27 წლის ვარ და ჩემი წონა 75 კილოგრამია. ამას ჯანსაღი კვებისა და რეგულარული ვარჯიშის დახმარებით მივაღწიე. გარდა ამისა, დავანებე თავი მოწევას. ამ ყველაფრისთვის მადლობა ჩემს მეგობრებს ანასტასია სილვას, ანდრეს ლოზანოს, დან ფიტნესს და, რა თქმა უნდა, ანასტასია ლექსს. ცხოვრებაში შეუძლებელი არაფერია თუ შენ შენს მაქსიმუმს აკეთებ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ მაია ბოკუჩავას, შვილიშვილებს რუსიკოსა და შამშეს უსაყვარლესი დედისა და ბებიის

**ნუნუ დეისაძის**

გარდაცვალების გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ციური, ანზორ, თემურ მჟავიები, ლელა და დიტო გამეზარდაშვილები**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ოთხშაბათი 8 ივნისი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "გურმანია" (კვირ"გ"ჩვ) **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**სამეფო**" (ჯ.ფოქსი) **03.00** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **11.30** დ/ფ "ვიეტნამი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** სერ. "**ვენდეტა**" **12** სერ. **01.45** მხ/ფ "**გადამწყვეტი ხმა**" **04.00** მხ/ფ "**და აი" ისიც**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ."**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30, 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.00** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **1.00** მხ/ფ "**გატეხილი ისარი**"

**06.10, 08.25** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** მოკ. მხ/ფ "**ადგილის დედა**" **11.15** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** ღვთის სახლი **16.00** კონცერტი **17.10** "საუფლონი" ამაღლება-"ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.00** "კონტაქტი" **11.05** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. **მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**სახიფათო ქალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**შულერი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 ივნისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.1376 | ევრო — 2.4232 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0754 | 100 რუსული რუბლი — 3.251 |

**ამინდის პროგნოზი 8 ივნისისთვის**








## 7 ივნისიდან სამკურნალო მცენარეები

ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი


## ანხელ დი მარიამ გოლი გარდაცვლილ ბებიას მიუძღვნა



არგენტინის ნაკრების ფორვარდმა ანხელ დი მარიამ ჩილესთან გატანილი გოლი თავის გარდაცვლილ ბებიას მიუძღვნა.

არგენტინელები ჩილეს ნაკრებს კოპა ამერიკის პირველ შეხვედრაში დაუპირისპირდნენ და დაამარცხეს ანგარიშით 2:1.

დი მარიას ბებია მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გარდაიცვალა, მაგრამ ფეხბურთელმა მაინც გადაწყვიტა მოედანზე გასვლა და შეხვედრაში ანგარიშიც გახსნა. გოლის შემდეგ ანხელმა ყველას უჩვენა მაისური, რომელზეც მისი ბებიის სახელი და გვარი ეწერა, ხოლო როდესაც მატჩი დამთავრდა, დი მარიამ ინტერვიუს დროს ემოციები ვერ შეიკავა და ატირდა.

არგენტინის ნაკრებმა მესის გარეშე ითამაშა, რომელსაც ტრავმა აქვს, მაგრამ მისი არყოფნა არგენტინელებს თითქმის არ დასტყობიათ.

## ლივერპულის ახალი სამიზნე გონსალო იგუაინია



ლივერპულს ზაფხულში რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა სურს და ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ნაპოლის არგენტინელი ფორვარდი გონსალო იგუაინია.

ლივერპულის მწვრთნელი იურგენ კლოპი არგენტინისა და ჩილეს ნაკრებების თამაშს დაესწრო და მის გვერდით იგუაინის აგენტი იმყოფებოდა. ამის შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ კლოპი მატჩს სწორედ არგენტინელი თავდამსხმელის გამო დაესწრო. ჯერჯერობით იურგენი ამაზე კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ მან ტრიბუნები 76-ე წუთზე დატოვა, იგუაინი კი მოედნიდან 74-ე წუთზე გაიყვანეს.

იგუაინმა ნაპოლის შემადგენლობაში სერია ა-ს რეკორდი დაამყარა, როდესაც 36 გოლის გატანა შეძლო, ამიტომ ეს ტრანსფერი ლივერპულს, სავარაუდოდ, ძალიან ძვირი დაუჯდება.

## ფილიპო ინძაგი ვენეციას ჩაუდგა სათავეში



მილანის ლეგენდარული ფეხბურთელი ფილიპო ინძაგი სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდა.

2014/15 წლის სეზონში ინძაგი მილანს წვრთნიდა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით გუნდმა წარმატებას ვერ მიაღწია, ამიტომ ფილიპო დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამჯერად ინძაგი სერია ც-ში იმუშავებს, სადაც სახელოვანი ქალაქის არცთუ სახელოვან გუნდ ვენეციას გაწვრთნის.

ერთი პერიოდი ვენეცია სერია ა-ში თამაშობდა, მაგრამ ამჟამად გუნდი რიგით მესამე დივიზიონში გამოდის.

ინძაგი მუშაობას უახლოეს დღეებში შეუდგება.

## დელ ბოსკეს მარსელინიო ტორალი შეცვლის

ევრო 2016-ის დასრულების შემდეგ ესპანეთის ნაკრებს ვისენტე დელ ბოსკე აღარ უხელმძღვანელებს. ამის შესახებ გადაწყვეტილება თვითონ დელ ბოსკემ მიიღო. მისი შემცვლელის თაობაზე მრავალი ინფორმაცია ვრცელდება და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ესპანეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ვილიარეალის ამჟამინდელი დამრიგებელი მარსელინიო ტორალი იქნება.



ტორალი ესპანეთში წარმატებულ მწვრთნელად ითვლება და მისი ხელმძღვანელობით ვილიარეალმა ჩემპიონატში მეოთხე პოზიცია დაიკავა.



## იუმორი

დამწყები მძარცველი სახლში შეიპარა და იქ პატარა ბავშვი დახვდა.

– მშობლები სახლში არიან? – ეკითხება ბავშვს.

– არა, – პასუხობს ბავშვი გულუბრყვილო გამომეტყველებით.

– მაშინ წყალი მომიტანე, მწყურია.

ქურდმა იფიქრა, სანამ წყალს მომიტანს, მოსაპარ რამეს მივაგნებო, მაგრამ, თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, რომ ბავშვი წყლით სავსე ჭიქით მის წინ გაჩნდა.

– კიდევ მომიტანე, კიდევ მწყურია.

ქურდმა წესიერად მიმოხედვა ვერ მოასწრო, რომ ბავშვმა ისევ მოურბენინა წყალი. ასე გაგრძელდა კიდევ რამდენჯერმე და, როდესაც მან ისევ მოითხოვა წყალი, ბავშვი ეუბნება:

– ძია, მეტს ველარ მოგიტანთ, ონკანს ვერ ვწვდები და ტუალეტი კი უკვე დაიცალა....

•••

სოფლელს მეგობარი ეწვია და, როდესაც ეზოში მისი ღორი დაინახა, გაკვირვებული ეკითხება:

– ბიჭო, რაფრა გაზარდე ამსიგრძე ღორი?

– უკანა ფეხებით ბოძზე მივაბი და სალაფავი მოშორებით დავუდგი.

•••

ბავშვი სკოლიდან სახლში დაღონებული დაბრუნდა. მამა ეკითხება:

– აბა, შვილო, როგორაა საქმე?

– მომეშვი ერთი, მე ოროსნის მამას ხმას არ ვცემ!

•••

კაცი სილამაზის სალონში დალაქს ეუბნება:

– ა შენ, ძამა, სამი ლარი და თავი მომიწესრიგე ერთი.

– თეთრი ხალათი რომ მაცვია, ფსიქიატრი ხომ არ გგონივარ?

•••

აფთიაქში:

– უკაცრავად, აცეტილოსალიციუმი გაქვთ?

– თქვენ გინდოდათ გეთქვათ ასპირინი, ხომ?

– ჰო, კაცო, ვერაფრით დავიმახსოვრე ეგ სახელი...

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– სახეზე რა ფერი გადევს, ავად ხომ არ ხარ?

– არა, მასწავლებელო, უბრალოდ, დედამ პირი დამბანა.

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:

– შეგიძლიათ მითხრათ, რა გაიძულებთ, ყოველდღე რომ სვამთ?

– არაფერი, მოხალისე ვარ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 10 ივნისიდან დიდი ექვთიმე

ეს წიგნი დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილი წარმოჩენის ცდაა.

მასში შესულია 32 მეცნიერისა და მწერლის სტატიები დიდი ექვთიმეს შესახებ.

წიგნში რეალურადაა წარმოჩენილი ქვეყნიდან გატანილი განძის საქართველოში დაბრუნების დეტალები და დაბრუნებული განძის ერთი ნაწილის ილუსტრაციები.

წიგნი მთლიანად ეძღვნება წმინდა ექვთიმე ღმერთისკაცის განვლილ მოწამეობრივ გზას განსაწმენდლიდან წმინდანობამდე.

**მაგარი ყდა, 725 გვერდი**




ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი


## უიტნი ჰიუსტონის კაბა აუქციონზე გაიყიდება



ამერიკელი მომღერალის უიტნი ჰიუსტონის საქორწინო კაბა და სხვა პირადი ნივთები აუქციონზე გასაყიდადაა გამოტანილი. მარკ ბაუერის ბრენდის კაბაში გამოწყობილი მომღერალი 1992 წელს ცოლად გაჰყვა ბობი ბრაუნს.

აუქციონზე წარდგენილ ლოტებს შორისაა პრიზები, საიუველირო ნაკეთობები, ტანსაცმელი, პასპორტი და პლასტიკური ბარათები. კერძოდ, ემერიქან მუსიქ ევორდის ჯილდო, რომელიც ჰიუსტონმა 1988 წელს მიიღო, გრემის ნომინაციაზე წარდგენის სერთიფიკატები, ბილბორდ ევორდის პრემია, რომელიც მომღერალს 1993 წელს მიეკუთვნა.

ყველა ამ ნივთის შეძენა შესაძლებელი იქნება აუქციონზე, რომელიც 24 და 25 ივნისს გაიმართება. ვარაუდობენ, რომ ვაჭრობიდან საერთო შემოსავალი მინიმუმ 500 ათას დოლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ უიტნი ჰიუსტონი 2012 წლის თებერვალში 48 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ამერიკელი ქალი და მისი ხვლიკი ინტერნეტ-სენსაციად იქცნენ

ამერიკელი ქალი და მისი უზარმაზარი ხვლიკი არგენტინული წითელი ტეგუ ინტერნეტ-სენსაციად იქცნენ.



38 წლის აისი და მისი ბოიფრენდი სკოტი (მათი გვარები უცნობია) სან-დიეგოში ცხოვრობენ. რამდენიმე წლის წინ მათ გადაწყვიტეს სახლში უჩვეულო ცხოველი მიეყვანათ და ასეთი ტეგუ, სახელად მაკგაივერი აღმოჩნდა. თავდაპირველად ხვლიკი პატარა ზომის იყო, შემდეგ კი თანდათან გაიზარდა და თითქმის საშუალო ზომის ძაღლის ზომას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მისი პატრონების თქმით ის სწორედ ძაღლივით იქცევა.

აისი და სკოტი ხვლიკის ცხოვრებას სოციალურ ქსელებში აღწერენ, მათ შორის ინსტაგრამში. ცხოველის ყოფაცხოვრებას თვალს მრავალი ინტერნეტ-მომხმარებელი ადევნებს. სკოტის მტკიცებით, მაკგაივერი წარმოუდგენლად ჭკვიანი და მეგობრულია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მანჩესტერ იუნაიტედმა ვილიარეალის მცველი იყიდა

მანჩესტერ იუნაიტედი აგრძელებს ფულის გულუხვად ხარჯვასა და ახალი ფეხბურთელების შეძენას. ამჯერად მანჩესტერელებმა ესპანეთს მიაშურეს, სადაც მათ ინტერესს ვილიარეალის ცენტრალური მცველი ერიკ ბერტრან ბეილი იწვევდა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ იუნაიტედი ბეილს შეუთანხმდა და უახლოეს დღეებში ეს ტრანსფერი ოფიციალური გახდება. მანჩესტერი ვილიარეალს 30 მილიონ ფუნტ სტერლინგს გადაუხდის.

ბერტრან ბეილი ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს და სწორედ მისი კარგი გარჯის შედეგია, რომ ვილიარეალმა გასულ სეზონში ცოტა გოლი გაუშვა და ესპანეთის ჩემპიონატში მეოთხე პოზიცია დაიკავა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 2. დანალექი, შლამი ტბის, მდინარის ფსკერზე; 3. ოსური ხაჭაპური; 4. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 5. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მდინარე კახეთში; 9. ჩეხეთის ძველი სახელწოდება; 10. ბადაგისა და ფქვილისაგან მომზადებული ტკბილეული; 12. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 13. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 15. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად**: 1. ზამთრის ოლიმპიადის ერთ-ერთი სახეობა; 6. კომუნიკაციის საშუალებათა – გაზეთის, ჟურნალის, ტელევიზიისა და რადიოს ერთობლიობა; 7. სატანვარჯიშო იარაღი; 10. ცბიერი, გაიძვერა ადამიანი; 11. დაქირავებული მკვლელი ძველად იტალიაში; 13. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 14. გურიასა და აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. მიწის თხილი; 18. ყაზახეთის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

